ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

სამშაბათი, 30 აგვისტო, 2016 | №205 (7131) | ფასი: 50 თეთრი

„ცენტრალური ბანკის საქმიანობა ბურუსით არის მოცული“




ალექსანდრე თვალჭრელიძე: „ლარის კურსი 1.8 უნდა იყოს“

30 აგვისტოდან

ერნესტ ჰემინგუეი

განუყრელი დღესასწაული

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




# ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკაში ბრუნდება




„ის ან ახალ პარტიას ჩაუდგება სათავეში, ან თავად დააკომპლექტებს „ოცნებას“



## რა მოლაპარაკებებს აწარმოებდა ვაშაძე ხადურთან და ჯანყარაშვილთან




ლევან ხაბეიშვილი: „ყველამ თავის კავშირებს და ფინანსებს მიხედოს“






## ზვიად ჯანყარაშვილი გივი თარგამაძეს პასუხობს




კონსტანტინე გამსახურდია: „აბაშაში ჩემი დამარცხება რთული იქნება“

ლაშა ჩხარტიშვილი: „თბილისელთა ეკოციდი გრძელდება“




„რა მნიშვნელობა აქვს, უგულავა დაგვახრჩობს თუ ნარმანია?!“

ირაკლი კობახიძე: „ძალიან მალე სატელევიზიო სივრცეში აღიკვეთება ბილწსიტყვაობა“




## ვახტანგ ძაბირაძე: „პარტიების წინასაარჩევნო კამპანია უღიმღამოა“

„საარჩევნოდ უფრო მნიშვნელოვანი იქნება ბიძინა ივანიშვილის სატელევიზიო გამოსვლები, ვიდრე ახალი ფილმი ნაცმოძრაობის შესახებ“







ალეკო ელისაშვილი ირაკლი კობახიძეზე — „თმაგაპუწული, ფაჩუჩებიანი, გოგლი-მოგლი ბიჭი გამოვიდეს, მოყვეს, სად იყო 2012 წლამდე“

ISSN 1987-9385

# რა მოლაპარაკებებს აწარმოებდა ვაშაძე ხადურთან და ჯანყარაშვილთან

## ლევან ხაბეიშვილი: „ყველამ თავის კავშირებს და ფინანსებს მიხედოს“

შორენა მარსაგიშვილი

საარჩევნო ბლოკი, რომელიც პაატა ბურჭულაძეს, გიორგი ვაშაძეს, გირჩებს და ახალ მემარჯვენეებს აერთიანებს, მორიგ სკანდალში გაეხვია. პირველმა რადიომ გამოაქვეყნა ფოტოები, სადაც ბლოკის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ვაშაძე ნოდარ ხადურთან და ზვიად ჯანყარაშვილთან არის გადაღებული.

ამ ფოტოებმა განსაკუთრებული ვნებათაღელვა ნაციონალებში გამოიწვია. როგორც კი ვაშაძის სურათები ნახეს, ნაციონალები ფეისბუქს შეესივნენ და ყოფილი თანამებრძოლის მიმართ წყევლა-კრულვა არ დაიშურეს.

ნაციონალთაგან ყველაზე მეტად გივი თარგამაძე ჩანდა გამწარებული. ამ ფოტოების მნახველი დეპუტატი არ გამორიცხავს, რომ ვაშაძეს ოთარ ფარცხალაძესთან ერთად საზამთროც ჰქონდეს ნაჭამი.

– გაშალა ფრთები ბიჭმა – აქეთ ჯანყარაშვილი, იქეთ ხადური, სიტკბო სუფევდა პორტირებული გოდერძი ბუკიას სასტუმროში ჩაქვში. პარტიის ანგარიშიც ყვავის – 900.000 შემოწირულობა აქვს „გულშემატკივრებისგან“ უკვე.

ამას ფარცხალაძესთანაც ექნება უეჭველი გრილში საზამთროსთვის კბილი გაკრული. ჩხარტიშვილის ოჯახური გვერდში დგომით. ხოდა, აბა ტარიელ ონიანის ბავშვის ნათლობაში პაატა ბურჭულაძე გაუკვირდებოდა? ან პაატას გაუკვირდება ეს სითბო? თუ ზურაბ ჯაფარიძე შეშფოთდება? ან პალიკო კუბლაშვილი, გოგო მელაძე თუ გოგა ხაჩიძე? როცა პირველადაც არაა ძნელი ღალატი, მერე მიდის შხუილშუილით. ერთმანეთსაც რომ გაყიდით, არ გამომაპაროთ, პერსპექტიულებო, – წერს გივი თარგამაძე.

ნაციონალების მხრიდან წამოსულ ლანძღვას მშვიდად შეხვდნენ სკანდალურ ბლოკში. მისი ერთ-ერთი ლიდერის, ლევან ხაბეიშვილის განმარტებით, გიორგი ვაშაძეს ისეთი არაფერი ჩაუდენია.

– გიორგი 27 აგვისტოს წავიდა ჩაქვში, სადაც მისი მეუღლე და ბავშვები ისვენებენ. ამავე სასტუმროში იყო ნოდარ ხადური. ფოტო, რომელზეც ამხელა ამბავია ატეხილი, სასტუმროს ფოიეშია გადაღებული. ტრუსიკმაიკიან ხადურთან რა ფარული მოლაპარაკება უნდა წარმართულიყო, თანაც ფოიეში? ასეთი მოლაპარაკებები, როგორც წესი, უცხო თვალისგან დაფარულ ადგილებში მიმდინარეობს ხოლმე.



იგივეს თქმა შემიძლია ჯანყარაშვილზეც. ერთი ამბავი ატეხეს, რაზე შედგა გარიგებაო. ამდენი ხალხის თვალწინ საიდუმლო მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს. ან სად იყო რესტორანი და სუფრა. მაგიდაზე ლუდი და საზამთრო დევს. კიდევ კაცი ეწევა სიგარეტს, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში ხაბეიშვილი.



მისი თქმით, არც პარტიაში და არც ბლოკში ვაშაძესთან დაკავშირებით კითხვები არავის გასჩენია, რადგან ყველამ იცოდა, რომ დეპუტატი ჩაქვში მიდიოდა.



მართალია, ამ ფოტოების გადაღებაში ხაბეიშვილი ტრაგიკულს ვერაფერს ხედავს, მაგრამ ამბობს, რომ უკეთესი იქნებოდა, არ ყოფილიყო ასეთი კადრები. მისი ვარაუდით, ნაციონალები ამ ფოტოების დახმარებით შეეცდებიან მათ დისკრედიტაციას.

– გივი თარგამაძის და ირმა ნადირაშვილის აგორებული შავი პიარი ვერაფერს დაგვაკლებს. წარმომიდგენია, რას იტყვიან მიშა მაჭავარიანი და ხათუნა გოგორიშვილი. მათ ხმას აუწყობს გია ვოლსკიც. კარგი იქნება, ყველამ საკუთარ პარტიას მიხედოს. ჩვენი ლანძღვით ისინი საკუთარ რეიტინგს ვერ გაზრდიან, – ამბობს ბლოკის ერთ-ერთი ლიდერი.

ლევან ხაბეიშვილის თქმით, ისინი ნაციონალებისგან და „ქართული ოცნებისგან“ მომავალშიც ელოდებიან თავდასხმებს.

– ორივე პარტიამ კარგად იცის, რომ სწორედ ჩვენს ბლოკს შეუძლია მათი გასტუმრება. ამიტომაც გვებრძვიან ასე გამწარებით. ხან მოღალატეებს გვეძახიან, ხან ამტკიცებენ, რომ მიშას პროექტი ვართ. ჯერ ამაზე ჩამოყალიბდნენ, ვინ გვმართავს, როგორ ვფინანსდებით და მერე ილაპარაკონ, – აღნიშნავს ხაბეიშვილი.

ამ ბლოკის დაფინანსება სერიოზული მითქმა-მოთქმის საბაბი გახდა. როგორც ამბობენ, მათ ცეზარ ჩოჩელი, ვანო ჩხარტიშვილი და დავით მირცხულავა აფინანსებენ.

– ჩვენ გვაქვს დაფინანსება და ამის უარყოფას არ ვაპირებთ. დამფინანსებლებთან დაკავშირებით ჭორების გავრცელებას არავის ვურჩევთ, რადგანაც არის აუდიტის სამსახური და იქ წერია, ვინ და რამდენით დაგვაფინანსა. ყველა პარტიამ თავის დაფინანსებას და დამფინანსებლებს მიხედოს, – ამბობს საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელი.

აღნიშნულ ბლოკს ტარიელ ონიანის სახელიც უკავშირდება. წინა კვირას გამოქვეყნდა ვიდეო, სადაც ტარიელ ონიანის შვილის ნათლობაა ასახული, ნათლია კი პაატა ბურჭულაძეა. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ტარიელ ონიანი ამ ბლოკის დახმარებით შეეცდება პარლამენტში საკუთარი ხალხის შეყვანას.

ამ ინფორმაციას სისულელეს უწოდებს ლევან ხაბეიშვილი:

– არაჯანსაღი იყო ის ისტერიკა, რაც ონიანის შვილის ნათლობის კადრების გავრცელებას მოჰყვა. ყველას რელიგიურობით რომ მოაქვს თავი, იმდენი არ იციან, რომ ნათლიობაზე უარს არავის ეუბნებიან. რაც შეეხება ონიანის დაჯგუფებას, იქნებ დააკონკრეტონ, ვის გულისხმობენ. მასთან ბევრ ვინმეს აქვს საქართველოში კავშირი.

როგორც ამბობენ, შესაძლოა, პაატა ბურჭულაძის საარჩევნო ბლოკს კიდევ რამდენიმე სუბიექტი დაემატოს. ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფენ ბლოკში.

– ბლოკი უკვე საბოლოო სახით გაფორმდა და ახალ სუბიექტებს აღარ დავიმატებთ. ჩვენი ბლოკის წინააღმდეგ კიდევ ბევრი ჭორი გავრცელდება. ყველა ხვდება, რომ ჩვენ შეგვწევს ხელისუფლების შეცვლის და ნაციონალების გასტუმრების რეალური ძალა, – აღნიშნა ხაბეიშვილმა.

# მანანა კობახიძე: „საკონსტიტუციო სასამართლოს დისკრედიტაციას პაპუაშვილი ახდენს“




– თუ ვინმეს მხრიდან საკონსტიტუციო სასამართლოს დისკრედიტაცია ხდება, ეს გიორგი პაპუაშვილის ქმედებებით ხდება. სამწუხაროა, რომ გიორგი პაპუაშვილი ასე ასრულებს თავის კარიერას.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ განუცხადა.

კობახიძე არასერიოზულად მიიჩნევს პაპუაშვილის მორიგ განცხადებას იმის შესახებ, რომ „ხელისუფლებისა და მმართველი პოლიტიკური გუნდის წარმომადგენლების მხრიდან საკონსტიტუციო სასამართლოსა და ცალკეულ მოსამართლეებზე განხორციელებულმა შეტევამ საგანგაშო ხასიათი მიიღო და პოლიტიკური ლიდერები საკონსტიტუციო სასამართლოს დისკრედიტაციის მიზანმიმართულ კამპანიას ეწევიან“.

– ის ძალიან ზოგადად საუბრობს რაღაც ზეწოლებზე. თუ რაიმე კონკრეტული ფაქტები აქვს, უნდა ითანამშრომლოს პროკურატურასთან. რაც შეეხება დისკრედიტაციას, თუ სადმე და ვინმეს მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს დისკრედიტაცია ხდება, ვფიქრობ, ეს პაპუაშვილის ქმედებებით და მისი განცხადებებით არის გამოწვეული, რომელიც, სწორედ კონკრეტული მოსამართლეების დისკრედიტაციას ემსახურება. სამწუხაროა, რომ ის თავად ვერ აცნობიერებს მისი, როგორც სასამართლოს თავმჯდომარის როლს და ფუნქციას, რომელსაც ძალიან მაღალი პასუხისმგებლობა აქვს, კონსტიტუციიდან გამომდინარე.



საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ პოლიტიკური განცხადებებისგან თავი უნდა შეიკავოს და არ შევიდეს პოლიტიკურ დისკუსიაში, ის კი დიდი ხანია გასცდა იმ ფარგლებს, რა ფარგლებსაც მისი მოსამართლის სტატუსი და თანამდებობა უწესებს.

თუ ნდობა დაეკარგა სასამართლოს, პირველ რიგში, მისი ქმედებებიდან გამომდინარე. ასე რომ, ძალიან არასერიოზულად მეჩვენება მე მისი საქციელი, – განაცხადა მანანა კობახიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# ზვიად ჯანყარაშვილი გივი თარგამაძეს პასუხობს



სოციალურ ქსელში გივი თარგამაძემ ზვიად ჯანყარაშვილის, ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურისა და გიორგი ვაშაძის ერთობლივი ფოტოები გაავრცელა.

ფოტოებზე ნათლად ჩანს გიორგი ვაშაძის და ნოდარ ხადურის კეთილი ურთიერთდამოკიდებულება. ერთ ფოტოზე ხადური და მისი მეუღლე ვაშაძესთან ხელგადახვეულები არიან აღბეჭდილი. ხოლო მეორე ფოტოზე სუფრასთან მსხდომი ვაშაძე და ზვიად ჯანყარაშვილი არის გადაღებული.

თარგამაძის მიერ გავრცელებულ ფოტოებს ზვიად ჯანყარაშვილი გამოეხმაურა და საინფორმაციო სააგენტო „ექსკლუზივ ნიუსთან“, ექსკლუზიური კომენტარი გააკეთა.

– მინდა კომენტარი გავაკეთო სოციალურ ქსელში გავრცელებულ ფოტოსთან დაკავშირებით, რომელმაც უხერხული გაუგებრობა გამოიწვია და ბევრ ადამიანს მრავალი ინტერპრეტირების საშუალება მისცა.

რამდენიმე დღის წინ ვიმყოფებოდი ჩაქვში ჩემს შვილთან ერთად. ერთ საღამოს ბავშვების კარაოკე ცენტრში ვიყავი ჩემს შვილთან ერთად. გვერდით მაგიდაზე ოჯახთან ერთად მჯდომმა ნოდარ ხადურმა თავის მაგიდასთან მიიწვია განურჩევლად ყველა იქვე მჯდომი დამსვენებელი და მათ შორის მეც ჩემს უფროს ვაჟთან ერთად, დამდეგი მარიამობა მოგვილოცა, რის შემდეგაც ყველა თავის მაგიდას და ოჯახს დაუბრუნდა.

როგორც ჩანს, პოლიტიკური კონსპირაციების მოყვარულმა რომელიღაც თანამეინახემ დრო იხელთა, ფოტოები გადაიღო და გაავრცელა, რამაც მთელი ეს გაუგებრობა გამოიწვია, – განაცხადა ზვიად ჯანყარაშვილმა „ექსკლუზივ ნიუსთან“ საუბარში.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკაში ბრუნდება

## „ის ან ახალ პარტიას ჩაუდგება სათავეში, ან თავად დააკომპლექტებს „ოცნებას“

შორენა მარსაგიშვილი





რატომ გააქტიურდა ღარიბაშვილის თემა, ვინ და რატომ ებრძოდა მას მთავრობის შიგნით, რა გადაარჩენს „ქართულ ოცნებას“? – ამ თემებზე „ახალ თაობასთან“ უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე საუბრობს.

**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

– მე ხელთ მაქვს უტყუარი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკაში დაბრუნდება. ის და ბიძინა ივანიშვილი რამდენიმე დღეში გამოჩნდებიან. ერთადერთი კაცი, ვისაც ახლა „ქართული ოცნების“ რეიტინგის გადარჩენა შეუძლია, არის ირაკლი ღარიბაშვილი.

***– ხმებს ღარიბაშვილის პოლიტიკაში დაბრუნების შესახებ ისიც ამძაფრებს, რომ მარიამობა დღეს ის საქართველოს პატრიარქმა მიიღო.***

– პატრიარქს ირაკლი ღარიბაშვილი ძალიან უყვარს. იმიტომ უყვარს, რომ ეს ადამიანი ყოველთვის იმ თემებზე საუბრობდა, რაც ქართველ ხალხს სტკიოდა. მისთვის საქართველო და ქართული იყო უმთავრესი. ამიტომაც სარგებლობდა ის პატრიარქის სიყვარულითა და პატივისცემით.

***– მარიამობას გამართული შეხვედრა არის თუ არა კავშირში ღარიბაშვილის დაბრუნებასთან?***

– ვერ გეტყვით, რომ პირდაპირ კავშირშია. როგორც უკვე გითხარით, პატრიარქი ყოფილ პრემიერს ყოველთვის დიდ პატივს სცემდა და სხვა დროსაც შეხვედრია მას. შესაძლოა, პოლიტიკაზეც ისაუბრეს. მე ის ვიცი, რომ პოლიტიკაში მისი დაბრუნება გადაწყვეტილი ამბავია.

***– რა ფორმით დაბრუნდება ის პოლიტიკაში? არის საუბრები იმაზე, რომ ღარიბაშვილი 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას.***

– საპრეზიდენტო არჩევნებამდე 2 წელია დარჩენილი და ამ პერიოდში სიტუაცია შეიძლება ისე შეიცვალოს, რომ „ოცნებას“ ყველაფერი გვერდზე დარჩეს. მე ახლა ვიმყოფები სამეგრელოში და ვერ წარმოიდგენთ, რა კატასტროფული ვითარებაა. ნაციონალები რომ ამბობდნენ, სამეგრელოს მოვიგებთო, მეგონა, ბაქიბუქობდნენ. საქმე იმაზე სერიოზულად არის, ვიდრე ყოფილი ხელისუფლება წარმოაჩენს. ვისაც ვესაუბრე, ყველამ მითხრა, რომ მხარს ნაციონალურ მოძრაობას უჭერს. ჩათვალეთ, რომ არჩევნები სანდრას აქვს მოგებული.

უკეთესი მდგომარეობა არც სხვა რეგიონებშია. ხელისუფლება რამდენიმე რაიონში მაჟორიტარების შეცვლას აპირებს. „ოცნებამ“ ხობში გაითვალისწინა ხალხის მოთხოვნა და გოდერძი ბუკია გამოცვალა. სხვა რაიონებშიც გამოცვლიან მაჟორიტარებს.

სანამ ღარიბაშვილის დაბრუნების თემაზე გადავალ, იმასაც გეტყვით, როგორ მოხდა მაჟორიტარების წარდგენა. რამდენიმე პიროვნებამ წარდგენამდე 2 საათით ადრე გაიგო, რომ „ოცნების“ კანდიდატი იყო.

ამ ყველაფერმა „ოცნების“ რეიტინგზე ძალიან ცუდად იმოქმედა. მის გადასარჩენად აუცილებლად გამოვლენ ივანიშვილი და ღარიბაშვილი. ჩვენი საზოგადოება ორივე მათგანის სიტყვას დიდ პატივს სცემს.

***– გინდათ თქვათ, რომ ღარიბაშვილი მხოლოდ იმიტომ გამოჩნდება, რომ გვითხრას, ხმა მიეცით „ქართულ ოცნებასო“?***

– მარტო ამის სათქმელად ღარიბაშვილის გამოყენება არ შეიძლება. უნდა ვინმეს თუ არა, ივანიშვილის შემდეგ მას ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს. არ შეიძლება ასეთი მაღალი რეიტინგის მქონე ადამიანი დარტყმის ქვეშ მოჰყვეს. თუ ეს ორი ადამიანი გამოვა და იტყვის, მხარი დაუჭირეთ „ქართულ ოცნებასო“, მაშინ აუცილებლად უნდა მოხდეს ამ გუნდის გადახალისება.

„ქართული ოცნების“ დღევანდელი შემადგენლობა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ამას მაჟორიტარობის კანდიდატებზე ვამბობ, პარტიულ სიას რაც შეეხება, ის ჯერ დასრულებული არ არის. თუ პარტიულ სიაში მაჟორიტარების მსგავსი ხალხი შეიყვანეს, მაშინ ღარიბაშვილს ჩრდილი მიადგება. მას არანაირ ქულებს არ მოუტანს იმის ძახილი, ხმა მიეცით თამარ ჩუგოშვილსო.

ამ ადამიანს იმიტომ აქვს მაღალი რეიტინგი, რომ იმაზე საუბრობდა, რაც ქართველ ხალხს სურდა. ეს ადამიანი გვერდზეა გაწეული, სამაგიეროდ, „ოცნებაში“ ისეთი ხალხი შეიყვანეს, რომლებიც ნაციონალებთან ასოცირდებიან. დაუშვებელია ღარიბაშვილის ამ ადამიანების გვერდით გამოჩენა. ყველაზე კარგი იქნება, თუ ეს ადამიანი ახალ პარტიას ჩამოაყალიბებს. ეს თუ არ მოხდა, მაშინ მას „ოცნების“ გაწმენდის უფლება უნდა მიეცეს.

***– ვისგან უნდა გაწმინდოს „ოცნება“?***

– პირველ რიგში პორტირებული ნაცებისგან და იმ მოღალატეებისგან, რომლებიც სასწორის გადახრისთანავე გემიდან გაიქცევიან. „ქართულ ოცნებაში“, სამწუხაროდ, ბევრია მოღალატე და მათ ახლა მოწინავე პოზიციები უკავიათ. ეს ხალხი ღარიბაშვილს ჯერ კიდევ მაშინ ებრძოდა, როცა მას მთავრობის მეთაურის პოსტი ეკავა. ის იყო ერთადერთი პრემიერი, რომელსაც გუნდი და მხარდამჭერი არ ჰყავდა.

ძალიან სარწმუნო წყაროდან ვიცი, რომ მას რამდენიმე მინისტრთან ლამის შეხლა-შემოხლა მოუხდა. ერთ-ერთი მათგანი ახლა ძალიან ყოყლოჩინობს და გუნდს სერიოზული პრობლემები შეუქმნა. რაც შეეხება ექსპრემიერს, ის 2 ფრონტზე იბრძოდა. ერთი ფრონტი გუნდის შიგნით ჰქონდა გახსნილი, ხოლო მეორე – ნაციონალებთან. აღარაფერს ვამბობ იმ ცილისმწამებლურ კამპანიაზე, რაც მისი და მისი ოჯახის წინააღმდეგ გაჩაღდა. ამის მიუხედავად, მან ხალხის სიყვარული მოიპოვა.

მას ყველაზე რთულ პერიოდში მოუწია შინაგან საქმეთა მინისტრობა. 2012 წელს გამოცხადდა ამნისტია და ციხეებში პატიმრების ოდენობა თითქმის განახევრდა. უდანაშაულო ხალხთან ერთად კრიმინალებიც გამოვიდნენ. ღარიბაშვილმა ყველაფერი გააკეთა, რომ კრიმინალი არ გაზრდილიყო. მისი პრემიერობის დროს საქართველომ დასავლეთის ფრონტზე არნახული მხარდაჭერა მოიპოვა.

მისი მტრები მთავრობაში ყველანაირად ცდილობდნენ, რომ ივანიშვილთან დაეპირისპირებინათ. საბედნიეროდ, მათ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. თუ მართლაც გადაწყდა ღარიბაშვილის გუნდში დაბრუნება, ასეთი ადამიანები მის გვერდში არ უნდა იყვნენ.

***– ჩამოაყალიბებინებენ მას „ოცნებაში“ თავის გუნდს?***

– თუ არ ჩამოაყალიბებს, მაშინ მის დაბრუნებას აზრი არ ექნება. დღეს ხელისუფლებაში თავი მოიყარა იმ ხალხმა, რომლებსაც 2012 წლამდე ხმა არ ამოუღიათ. ყველაზე კარგი მაინც ის იქნება, თუ ღარიბაშვილი რომელიმე პარტიის ბაზაზე შექმნის თავის პარტიას. დღეს „ქართული ოცნების“ ნამდვილი მხარდამჭერები გუნდის მიღმა არიან. ის ცხრა ნომერი გლეხები, ვინც მას ძირს უთხრიდა, თავისივე გათხრილში ჩავარდებიან.

***– ცხრა ნომერ გლეხებში ვის გულისხმობთ?***

– გლეხების მიმართ დიდი პატივისცემა მაქვს. ეს გამოთქმა კი ზუსტად ასახავს იმ ადამიანების სახეს, ვინც ღარიბაშვილს ძირს უთხრიდა. საზოგადოებამ მათ შესახებ კარგად იცის. ნათქვამია, ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო და ვერც მარტო ღარიბაშვილ-ივანიშვილი შეძლებენ გარდატეხის შეტანას. აუცილებელია ერთგული ხალხით დაკომპლექტებული გუნდი.

***– და მაინც რა გზით დაბრუნდება ღარიბაშვილი?***

– მინდა, რომ ის „ოცნების“ რიგებში იყოს. ოღონდ ეს „ოცნება“ მოღალატეებისგან უნდა იყოს გაწმენდილი.

***– ადრე თქვით, რომ ღარიბაშვილი პოლიტიკას აშშ-ს ელჩის დავალებით ჩამოაცილეს. თქვით ისიც, რომ საარჩევნო სიას აშშ-ს ელჩთან ათანხმებენ. დაუშვებს აშშ მის დაბრუნებას?***

– რამდენიმე დღის წინ თამაზ მეჭიაურმა ერთი საინტერესო განცხადება გააკეთა და მეც გავიზიარებ ამ მოსაზრებას. ამ ადამიანმა თქვა, რომ რაც უფრო დავუხრით თავს დასავლეთს, მით უფრო მეტად დაგვაჯდებიან თავზეო. ჩვენ ჩვენი ინტერესები უნდა გვქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერაფერს მივაღწევთ. დღეს საქართველოს ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნება სჭირდება და ის აუცილებლად უნდა დაბრუნდეს.

კარგად ვიცით, რატომაც დაიწყო მის წინააღმდეგ ბრძოლა. არ მოსწონდათ მისი ეროვნულობა და სიხისტეს უწუნებდნენ. სწყინდათ, ნაციონალებს უხეშად რომ მოიხსენიებდა. ამტკიცებდნენ, ეს ძაბავს ქვეყანაში სიტუაციასო. ახლა ხომ ენის მოჩლექით ესაუბრებიან ნაცებს და რა შედეგი მიიღეს? სულ თავს გავიდა ყოფილი ხელისუფლება. ღარიბაშვილი თავისი სიხისტით რომ არ დახვედროდა მათ, შესაძლოა ისინი ხელისუფლებაშიც დაბრუნებულიყვნენ.

***– ზემოთ აღნიშნეთ, რომ მას ის ხალხი უთხრიდა ძირს, ვინც ახლა „ოცნებაში“ დაწინაურებულია. დაუშვებენ ისინი ექსპრემიერის დაბრუნებას?***

– „ოცნებაში“ მთავარი არის ივანიშვილი და ის თუ იტყვის, ვერავინ შეეწინააღმდეგება. მაჟორიტარები მის გარეშე შეარჩიეს და კარგად ვნახეთ, რა ხალხიცაა. წესით, ივანიშვილის ინტერესშიც უნდა შედიოდეს ღარიბაშვილის დაბრუნება.

სამართალი

## მოსამართლის ცემისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის ბრალდებით ორი პირი დააკავეს

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი მიქაუტაძის მიმართ განხორციელებული ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფისა და მუქარის ბრალდებით პოლიციამ ორი პირი – 46 წლის ტ.ხ. და 47 წლის კ.ხ. დააკავა.



– გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა მიმდინარე წლის 26 აგვისტოს, გონიოს დასახლებაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი მიქაუტაძეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მოსპობით დაემუქრნენ, – განაცხადეს შსს-ში.

გამოძიება საქართველოს სსკ-ს 365-ე მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს სასამართლოში საქმის ან მასალის განხილვასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის, მსაჯულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ ჯგუფურად ჩადენილი სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების ან დაზიანების მუქარას.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

## ახმეტაში 2 ადამიანი დაჭრეს



ახმეტის აგრარული ბაზრის წინ, მთავარი შესასვლელიდან დაახლოებით 30 მეტრის დაშორებით, სოფელ ქისტაურში მცხოვრებმა გიორგი ირემაულმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა განახორციელა ქალაქ ახმეტაში მცხოვრები ზურაბ შ-შვილის მისამართით.

სროლის შედეგად მუცლის არეში დაიჭრა მეორე მოქალაქეც, რომელიც ბაზარში ტვირთის გადამზიდავად მუშაობდა.

დაჭრილები საავადმყოფოში გადაიყვანეს. წინასწარი ინფორმაციით, გასროლა შურისძიების მოტივით მოხდა. რამდენიმე წლის წინ ზ. შ-შვილი, რომელიც მთვრალი მართავდა სამარშრუტო ტაქსს, დაეჯახა ახალგაზრდა მამაკაცს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. ზურაბ შ-შვილმა საპატიმრო სასჯელი მოიხადა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ დაკავებულია ერთი პირი, რომელმაც შურისძიების ნიადაგზე ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრა 2 პირი. იარაღი ნივთმტკიცების სახით ამოღებულია. დაზარალებულების ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19.108 მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

## შსს-მ ნარკორეალიზატორი დააკავა

შსს-მ ნარკორეალიზატორი დააკავა. შსს-მ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით 1975 წელს დაბადებული რ. გ. დააკავა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, გამოძიებამ დაადგინა, რომ რ.გ.-მ ნარკოტიკული საშუალება მოქალაქეს მიჰყიდა. სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი და დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას 3 შეკვრად დაფასოებული 0,4773 გრ ჰეროინი და 7 აბი „ტრამადოლი“ ამოიღეს. პოლიციის მიერ ასევე ამოღებულია ნარკოტიკული საშუალების გაყიდვის შედეგად მიღებული თანხის ნაწილი.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს.

**ინტერპრესნიუსი**

გახდომა-გასუქება 5–20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83




## ქობულეთში მომხდარ ავარიას ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

28 აგვისტოს ქობულეთში შემოვლით გზაზე მომხდარ ავარიას ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, არიან დაშავებულები.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, ავარიის შედეგად დაშავებული სამი პირი ქობულეთის სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს. შემთხვევა 28 აგვისტოს, საღამოს საათებში მოხდა.

მათივე ინფორმაციით, გამოძიება 276-ე მუხლის მეშვიდე ნაწილით მიმდინარეობს, რაც სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ორი ან ორზე მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

**ინტერპრესნიუსი**

# „რა მნიშვნელობა აქვს, უგულავა დაგვახრჩობს თუ ნარმანია?!“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „თბილისელთა ეკოციდი გრძელდება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დემოკრატიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ეკოლოგი **ლაშა ჩხარტიშვილი** პასუხობს.

***– ლაშა, თბილისის მერიასთან საპროტესტო აქციები არ წყდება, ხეების მოჭრის თემა აქტუალობას არ კარგავს. როგორია თქვენი, როგორც გარემოს დამცველის შეფასებები?***

– სიტუაცია სულ უფრო მძიმდება. თბილისელების ეკოციდი გრძელდება. სამწუხაროდ, „ქართული ოცნება“ და მისი მერობის შემსრულებელი, დავით ნარმანია აგრძელებენ სააკაშვილისა და უგულავას ტრადიციას.

***– ანუ თქვენ არ უარყოფთ, რომ ხეები წინა ხელისუფლების დროსაც დიდი რაოდენობით იჭრებოდა?***

– რასაკვირველია, არ უარვყოფ და ეს რას ცვლის?! ეს ხელისუფლებაც არ უშვებს შანსს ხელიდან, რომ ფული იშოვოს ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ ფასად, ნებისმიერი სიმახინჯის ასაშენებლად. არ იცვლება რეგულაციები, არ იცვლება სისტემა და სისტემის ბურჯები.

***– ბურჯებში ვის გულისხმობთ?***

– მე ვგულისხმობ იმ კორუმპირებულ შემსრულებლებს და დამნაშავე მოხელეებს, რომლებიც დიდი დოზით გადმოიბირეს „ქართული ოცნების“ ლიდერებმა წინა ხელისუფლებიდან, რადგან მათ სჭირდებოდათ გასვრილი, კომპრომატირებული მოხელეები, რომელთა ხელითაც დანაშაულს ჩადიოდნენ სხვადასხვა სფეროში. პავლოვის 22-ში მომხდარი შემთხვევა არის თვალნათელი მაგალითი, რომ ჯანმრთელი მწვანე ხეები იქნა მოჭრილი. გამოდის თბილისის მერი, გამწვანების სამსახურის ხელმძღვანელი და არც რცხვენიათ, ისე აცხადებენ, რომ ჯერ კიდევ გასარკვევია, ეს ხეები იყო თუ არა მწვანე და ჯანსაღი.



***– ნარმანიას და ნინო სულხანიშვილის გადაყენებას მოითხოვთ, ეს უშველის საქმეს?***

– არათუ გადაყენებას, მათ წინააღმდეგ გამოძიების დაწყებასაც მხარს ვუჭერთ, თუმცა ვთვლით, რომ ეს საკმარისი არ არის. ჩვენ ამ მოთხოვნას უბრალოდ მხარი დავუჭირეთ, რომელიც პარტიზანებმა წამოაყენეს, თორემ ჩვენი მთავარი მოთხოვნაა, რომ უნდა მოხდეს ტოტალური მორატორიუმის გამოცხადება ჯანმრთელი ხეების ჭრაზე თბილისში.

***– დღეს რეგულაციები არ მუშაობს?***

– ის უნდა გამკაცრდეს. არც ერთი ჯანმრთელი ხე თბილისში აღარ უნდა იჭრებოდეს. ხის შეფასებების პროცედურები უნდა იყოს უფრო მკაცრად გაწერილი და ექსპერტის ნამუსზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, ხეს ჯანმრთელად გამოაცხადებს თუ მკვდრად. გაირკვეს, რამდენი ხე გვაქვს, სად ტყე, სად პარკი, რისი მოჭრა შეიძლება და რისი არა, უკვე რამდენი ხანია, ამას ვითხოვთ.

***– ბოლო პერიოდია საკმაოდ პოპულარული გახდა ნატა ფერაძე, თუმცა გვესმის შეფასებები, რომ მას არა აქვს მორალური უფლება, რომ აპროტესტებდეს, რადგან წინა ხელისუფლების პერიოდში ხმას არ იღებდა, „გრინსერვისის“ მენეჯერი იყო და დიდი ფულიც იშოვაო.***

– მე ნამდვილად არ ვიცი, ნატა ფერაძე იყო თუ არა წინა ხელისუფლებაში რაიმე სამოხელეო თანამდებობაზე, აქედან გამომდინარე, ყველა ბრალდებას სჭირდება დასაბუთება. რაც მეტი ადამიანი იბრძოლებს თბილისის ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მით უკეთესი. ნატა ნამდვილად კარგ საქმეს აკეთებს. უკეთესი იქნებოდა, უფრო დიდი ხნის განმავლობაში ებრძოლა, მაგრამ ეს არაფერ შუაში არ არის.

***– აბა რა არის შუაში?***

– ძალიან კარგი, რომ ახლა ნატა ფერაძე იცავს თბილისის გარემოს და ვინც მას უსვამს კითხვას, სად იყო 2012 წლამდე, ერთი მხრივ, თვითონ სად იყვნენ, გასარკვევია და მეორე მხრივ, ეს პრეტენზიები ისეთი ხალხისგან მესმის, რომლებიც არსად მინახავს სააკაშვილის დროს. ან იმ პერიოდში თუ აქტიურობდნენ, დღეს თავის თავს დაუსვან კითხვა – დღეს რატომ არ აქტიურობენ?! ადამიანის პრინციპები ყოველთვის მთავარი უნდა იყოს. რატომ არ აქტიურობენ ახლა?

***– რატომ არ აქტიურობენ, იმიტომ, რომ „ოცნება“ მოსწონთ?***

– დიახ. რა, უგულავას მიერ მოჭრილი ხე უფრო ცუდია, ვიდრე ნარმანიას მიერ მოჭრილი ხე?! ეკოლოგიური გარემო უმძიმეს მდგომარეობაშია და დასაცავი. სხვისი კრიტიკა შეიძლება დაიწყო მას შემდეგ, რაც მასზე მეტს გააკეთებ და აწმყოშიც არ დახუჭავ თვალს ნარმანიას დანაშაულებებზე იმის გამო, რომ „ქართულ ოცნებასთან“ კარგად არიან და სააკაშვილთან ცუდად იყვნენ.

მე შევარდნაძის რეჟიმიდან მოყოლებული, დღემდე ვიბრძვი ეკოლოგიური გარემოს გაჯანსაღებისთვის. ვინმემ თუ ახლა დაიწყო ასეთი ტიპის აქტიურობა, ესეც ძალიან კარგია.

***– პოლიტიკური სარჩული მართლა უდევს ამ აქციებს?***

– მე არ მინახავს ნატა ფერაძის მხრიდან რომელიმე პარტიის რეკლამირება. აქედან გამომდინარე ვერ ვხედავ, რომ რაიმე პოლიტიკური საფუძველი ჰქონდეს. ან პოლიტიკა რა შუაშია? ხე არ მოუჭრია ნარმანიას და ნატა ფერაძემ, ნაცმოძრაობამ მოჭრა თუ გიგი უგულავამ?!

***– ისინი გაცილებით მეტს ჭრიდნენო.***

– ნაცმოძრაობას თავისი მოჭრილი ხეები ეყოფა. ყველამ ჩვენი თვალით ვნახეთ ვიდეო, რომ უზარმაზარი და ჯანსაღი ხეები იჭრება. დღეს ლექსიკა უფრო მნიშვნელოვანია თბილისში თუ ის, რომ ამ გაგუდულ ქალაქს კიდევ ანადგურებენ.

პოლიტიკურ განცხადებას რაც შეეხება, ამას მე გავაკეთებ, ნატასგან ასეთები არ მახსოვს. მე ვურჩევ ყველა მოქალაქეს: აუცილებლად მივიდნენ არჩევნებზე და არ აირჩიონ ძველი და ახალი მჩეხავები! არ აირჩიონ ნაციონალები და არ აირჩიონ „ქართული ოცნება“!

„ქართული ოცნება“ ზუსტად იგივეს აკეთებს, რასაც ნაციონალები აკეთებდნენ. ეს ორი ძალა ერთმანეთისგან განუყოფელი მონსტრია, რომელიც ანადგურებს თბილისს. პოლიტიკა მნიშვნელოვანია და ის ეკოლოგიასაც ეხება. სწორედ პოლიტიკის შედეგია ის, რა დღეშიც ვიმყოფებით ახლა! რა მნიშვნელობა აქვს, უგულავა დაგვახრჩობს თუ ნარმანია?!

# ვახტანგ ძაბირაძე: „პარტიების წინასაარჩევნო კამპანია ულიმღამოა“

## „საარჩევნოდ უფრო მნიშვნელოვანი იქნება ბიძინა ივანიშვილის სატელევიზიო გამოსვლები, ვიდრე ახალი ფილმი ნაცმოძრაობის შესახებ“

მარიამ მჭედლიშვილი

საპარლამენტო არჩევნებამდე თვეზე ცოტა მეტი დრო დარჩა. დღეისათვის შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ექსპერტს, კონსტიტუციონალისტს **ვახტანგ ძაბირაძეს**

***– არიან თუ არა სუბიექტები, რომლებმაც თავიანთი წინასაარჩევნო კამპანიით შეძლეს ამომრჩევლის მოზიდვა და დაინტერესება?***

– ასეთები არ ჩანან. სუბიექტების საარჩევნო კამპანია, რეკლამები ძალიან ულიმღამოა. ამით ისინი ამომრჩეველს ვერ იზიდავენ. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ მიზანი არის სარეკლამო დროის შევსება და არა ამომრჩევლის დაინტერესება. საზოგადოება ისევ ისეა განწყობილი, როგორც ადრე იყო. არჩევნებამდე დაახლოებით ერთი თვეა დარჩენილი და საერთოდ არ იგრძნობა, რომ არჩევნებია მოახლოებული. მართალია, ჩვენ სხვაგვარ არჩევნებს ვართ მიჩვეული, მაგრამ ლოგიკა მაინც გარკვეულ მოქმედებებს მოითხოვს.



***– თუ საზოგადოების განწყობა არ შეცვლილა, ისევ დიდი უნდა იყოს ჩამოუყალიბებელი ადამიანების რიცხვი?***

– ბუნებრივია. ინდიფერენტული ადამიანების რაოდენობა ისევ დიდია. ბევრმა აქამდე ვერ გააკეთა არჩევანი. მოსალოდნელია, რომ დიდი რაოდენობა საერთოდ არ მივიდეს არჩევნებზე. არ ვიცი, რა მოხდება შემდეგ, მაგრამ დღეისათვის ასეთი სცენარით მოვლენების განვითარებაა რეალური.

***– ბევრი საუბარია გოგა ხაინდრავს ახალ ფილმზე, რომელიც მალე გავა ეთერში. შეიძლება მან რაიმე შეცვალოს?***

– საინტერესოა, რომ ამ ახალი ფილმის გამოსვლა დროში ემთხვევა ბიძინა ივანიშვილის გამოჩენას სატელევიზიო სივრცეში. ორივე კომპონენტი ერთი ფორმატის ნაწილია. შესაძლოა, „ქართულ ოცნებას“ მოლოდინი აქვს, რომ ფილმი გარდატეხას შეიტანს ამომრჩევლის გასააქტიურებლად და ხმის მოსაპოვებლად. არა მგონია, რომ მან ამომრჩეველზე განსაკუთრებულად იმოქმედოს. ყოველთვის არსებობდა მოსაზრება, რომ „ქართული ოცნება“ თავის მოქმედებებს დაუქვემდებარებდა ასეთ პოზიციას – თუ არა ჩვენ, ხელისუფლებაში დაბრუნდება ნაციონალური მოძრაობა. ამ მოსაზრებას მეც ვიზიარებდი.

***– ფილმით მტკიცდება, რომ ეს მოსაზრება სწორია?***

– რა თქმა უნდა. შესაძლოა, ეს კარგი და საჭირო ფილმია, მაგრამ ის ამ სიტუაციაში გარდატეხას ვერ შეიტანს. ჩემი აზრით, ამომრჩეველზე უფრო მეტად იმოქმედებს ბიძინა ივანიშვილის გამოსვლები, მისი მონაწილეობა სატელევიზიო გადაცემებში, რასაც ის აპირებს. თუ აქ დაცული იქნება ზომიერება, ამომრჩეველზე ეს პოზიტიურად იმოქმედებს. ზომიერების დაცვა აუცილებელია, იმიტომ, რომ „ქართულ ოცნებას“ ბეწვის ხიდზე მოუწევს გავლა, რომ მისი ამომრჩეველი ხელიდან არ გაუსხლტეს.

***– პაატა ბურჭულაძე პოლიტიკაში ახალ ერას გვპირდებოდა. მას პარტიიდან ბევრი ადამიანი გაექცა. საბოლოოდ, ბურჭულაძემ ბლოკი შექმნა.***

– შეიძლება მან გააკეთა ხმამაღალი განცხადებები, მაგრამ რეალობა სხვა იყო. თავიდანვე ვაცხადებდი, რომ პაატა ბურჭულაძის მიზანი იყო საარჩევნო ბარიერის გადალახვა. მას ამაზე მეტის პრეტენზია არ უნდა ჰქონოდა. საარჩევნო ბლოკის შექმნა პრაგმატული გადაწყვეტილებაა. ამით ბურჭულაძეს ამომრჩეველი არ შეუმცირდება. ამ ბლოკის მიზანიც ესაა – 5%-იანი საარჩევნო ზღურბლის გადალახვა. თუ ეს ბლოკი პარლამენტში მოხვდება, პერსპექტივა გაუჩნდება და 2020 წლისთვის ბურჭულაძის, გირჩის, ვაშაძისა და კაციტაძის გაერთიანება მეტზე იფიქრებს.

***– საარჩევნო ბარიერის გადალახვა სხვა სუბიექტების ამოცანაცაა?***

– ყოველთვის ვამბობდი, რომ საარჩევნო ბარიერის გადალახვის გარანტია მხოლოდ „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას აქვთ. სხვებს აქვთ შანსი. ასეთი, დაახლოებით 7 ან 8 სუბიექტი იკვეთებოდა. საარჩევნო ბლოკების შექმნა წინგადადგმული ნაბიჯია. ბურჭულაძის ბლოკის გარდა, გამოვყოფდი თარხან-მოურავის ბლოკს. ამ ბლოკებს აქვთ შანსი, გადალახონ საარჩევნო ბარიერი. არაა მოსალოდნელი, რომ ამ სუბიექტებმა მოიზიდონ გადაუწყვეტელი ამომრჩეველი. მათ თავიანთი ერთგული ელექტორატი ჰყავთ. ამ ბლოკების მუშაობაც ნაკლებად ჩანს. ამ ბლოკებმა უნდა იმუშაონ, იმოქმედონ, რომ შედეგს მიაღწიონ.

# გია ვოლსკი: „ალეკო ელისაშვილს ბოდიში აქვს მოსახდელი“



– ალეკო ელისაშვილი ცამდე მართალიც რომ იყოს, ბევრი ბოდიში თვითონ აქვს მოსახდელი და არც ცამდე მართალია.

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გია ვოლსკი მიიჩნევს, რომ ბოდიში არა ირაკლი კობახიძეს, არამედ ალეკო ელისაშვილს აქვს მოსახდელი. როგორც ვოლსკიმ ჟურნალისტებს განუცხადა, ელისაშვილი უზნეო ბრალდებებით გამოირჩევა.

**გია ვოლსკი:**

– ალეკო ელისაშვილმა ბოლო პერიოდში პოლიტიკურად ანგაჟირებული, ხშირ შემთხვევაში უზნეო ბრალდებებით გამოიჩინა თავი ჩვენი გუნდის წევრების მიმართ. პოლიტიკური დაინტერესებაც აშკარად ეტყობა.

აქედან გამომდინარე, ცამდე მართალიც რომ იყოს, ბევრი ბოდიში თვითონ აქვს მოსახდელი და არც ცამდე მართალია.

„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის ირაკლი კობახიძის განცხადებით, არაკორექტულია დავით ნარმანიას გადადგომის მოთხოვნა იმ პირების მხრიდან, რომლებიც გიგი უგულავას მმართველობას ფუთავდნენ. კობახიძის თქმით, ქალაქის იერსახესა და გამწვანებაზე ალეკო ელისაშვილის ასეთი აქტიურობა 2012 წლამდე არ ახსოვს.

**ინტერპრესნიუსი**

# მამუკა მდინარაძე: „მე 2012 წლამდე ალეკო ელისაშვილის აქტივობა მახსოვს“




„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრ მამუკა მდინარაძეს 2012 წლამდე ალეკო ელისაშვილის აქტივობა ახსოვს.

როგორც მდინარაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ელისაშვილს გარკვეული საპროტესტო გამოსვლები 2012 წლამდეც ჰქონდა.

მეორე მხრივ, მდინარაძე 2012 წლამდე ელისაშვილის აქტივობასთან დაკავშირებით პარტიის აღმასრულებელი მდივნის, ირაკლი კობახიძის განცხადებასაც ეხმაურება და მიიჩნევს, რომ თავის მხრივ არც კობახიძე აკეთებს ისეთ განცხადებას, რომელიც საბოდიშო ხდება.

– ალეკო ელისაშვილის აქტივობა მახსოვს. მას ჰქონდა გარკვეული საპროტესტო გამოსვლები. თუ სწორად მახსოვს, ეს ასე იყო. თუმცა, ბოდიშის მოხდა ზედმეტად მიმაჩნია, რადგან მე არ ვიცი კონტექსტი, თუ ზუსტად რა იგულისხმა კობახიძემ. შესაბამისად, თუ მან ასეთი რამ თქვა, თავად აგებს პასუხს და არასდროს, ირაკლი არ აკეთებს ისეთ განცხადებას, რომელიც შემდეგ საბოდიშო ხდება ხოლმე, – განაცხადა მდინარაძემ.

„ქართული ოცნების“ აღმასრულებელ მდივან ირაკლი კობახიძის განცხადებით, არაკორექტულია დავით ნარმანიას გადადგომის მოთხოვნა იმ პირების მხრიდან, რომლებიც გიგი უგულავას მმართველობას ფუთავდნენ.

კობახიძის თქმით, ქალაქის იერსახესა და გამწვანებაზე ალეკო ელისაშვილის ასეთი აქტიურობა 2012 წლამდე არ ახსოვს. აღნიშნული განცხადების გამო ელისაშვილმა ირაკლი კობახიძისგან დღეს ბოდიშის მოხდა მოითხოვა.

**ინტერპრესნიუსი**

# კონსტანტინე გამსახურდია: „აბაშაში ჩემი დამარცხება რთული იქნება“

გულიკო ბალაძე

წინასაარჩევნო ვითარებაზე „ახალ თაობას“ აბაშის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი **კონსტანტინე გამსახურდია** ესაუბრა.

***– ბატონო კონსტანტინე, ნაცმოძრაობის თამაშებს შეუძლია სამეგრელოსა და, ვთქვათ, კონკრეტულად, ზუგდიდში გამარჯვება მოაპოვებინოს?***

– ნაციონალები არ თამაშობენ, ისინი თავიანთი მომხრეების მობილიზებას ახდენენ.

***– მომხრეები ჰყავთ?***

– მომხრეები მათ ჰყავთ ცხრაწლიანი ხელისუფლებაში ყოფნის დროიდან.

***– მე ნაციონალების წინასაარჩევნო პოლიტიკურ სქემებზე ვსაუბრობ.***

– ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდში ნაციონალები გულხელდაკრეფილები არ ყოფილან. მათ, პირველ რიგში, ყველა ის ადამიანი, რომელსაც ჰქონდა რაღაცის შესაძლებლობა – ბიზნესი, კარგი ორგანიზატორი იყო, გატეხეს, შეაშინეს და დაიმორჩილეს. თუ ისინი არ დამორჩილდებოდნენ, აპატიმრებდნენ, ყველა ის პარტია, რომელიც პოტენციურად რაღაცას წარმოადგენდა, მათ შორის, პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლება“, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, შეავიწროვეს. კადრები შეაშინეს, დააშინეს, აპატიმრებდნენ და ასამართლებდნენ, მათი მოკვლის შემთხვევაც იყო.

***– ამას, პირიქით, შედეგი არ უნდა გამოეღო?***

– დიახ, მაგრამ ამ ორი მნიშვნელოვანი ფაქტორის გარდა, იყო კიდევ ერთი ფაქტორი – როდესაც ნაცმოძრაობა გამოეყო შევარდნაძის მოქკავშირს და იდევნებოდა, მათ დაიწყეს პლაცდარმის შექმნა სწორედ ზუგდიდსა და წალენჯიხაში, რადგან მათ იცოდნენ, რომ შევარდნაძის წინააღმდეგ განწყობილი რევანშისტული ძალა სწორედ სამეგრელოშია. მიხეილ სააკაშვილმა ზვიად გამსახურდიას მომხრეებთან განაცხადა, ზვიადის დამამხობლებს მე დავამხობო, ჩაჯდა წალენჯიხის ავტობუსში და გამოემართა თბილისისკენ.

აქედან მკვიდრდება ის დამოკიდებულება, რომ შევარდნაძეს სააკაშვილმა დაატოვებინა თანამდებობა. შევარდნაძეს პასუხი არავინ აგებინა და ერთხელ მაინც თუ ვიღაცამ იგი ხმაურიანად გაიყვანა პარლამენტის დარბაზიდან, ეს „ახალ“ პოლიტიკურ ძალას დამსახურებად ჩაეთვალა. კიდევ ერთი ფაქტორი მოქმედებდა – ამის შემდეგ სააკაშვილი გამოდიოდა ყველა ტელევიზიით და აკრიტიკებდა წინა პრეზიდენტს.



***– ამით რისი თქმა გინდათ?***

– ამით იმის თქმა მინდა, რომ ხალხი ასეთ დროს არ კითხულობს და არ სვამს კითხვას, შევარდნაძის გადადგომა ხომ არ იყო, საერთოდ, მოლაპარაკებული მიხეილ სააკაშვილთან, ვარდების სხვა რევოლუციონერებთან? ხომ არ ყოფილა ისე, თითქოს მათ შევარდნაძე უბრალოდ დაამხეს?!

***– თუმცა, როდესაც პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ჩამოასვენებს საქართველოში და მისი დაკრძალვის დღეს, საქართველოს არც ერთ სამთავრობო შენობაზე, მათ შორის, არც პარლამენტსა და პრეზიდენტის რეზიდენციაზე, სახელმწიფო დროშები არ დაუშვეს.***

– ზვიად გამსახურდია გაასვენეს, როგორც ეროვნული გმირი და არა, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი. სხვათა შორის, არც ერთი დიპლომატი, არც ერთი სხვა ქვეყნის მეთაური არ იქნა მოწვეული ზვიად გამსახურდიას დაკრძალვაზე 2007 წელს.

***– ეს ხალხს არ ახსოვს და შეხსენება უნდა?***

– ხალხი ამას არ კითხულობს. ხალხს ეს არ აინტერესებს. ხალხი ფიქრობს, რომ მან ჩამოასვენა ზვიად გამსახურდია და დაკრძალა მთაწმინდის პანთეონში. მორჩა, ეს უკვე მათთვის რაღაცას ნიშნავს.

***– დასაშვებად მიგაჩნიათ ზუგდიდში ნაცმოძრაობისა და სანდრა რულოვსის გამარჯვება?***

– მე პირადად სანდრას ვერ აღვიქვამ პოლიტიკურ ფიგურად. პირველი ლედი არ ნიშნავს პოლიტიკურ ფიგურად ყოფნას. მაგალითად, თუ თქვენ მკითხავთ ჰილარი კლინტონზე, რომელიც ამერიკის პირველი ლედი იყო, ის არის პოლიტიკური ფიგურა, რადგან იყო სენატორი და ერთხელ უკვე მონაწილეობდა საპრეზიდენტო პრაიმერში. ახლა ჰილარი კლინტონი უკვე საპრეზიდენტო კანდიდატიცაა. ანალოგიურს ნამდვილად ვერ ვიტყვი სანდრა რულოვსზე. ამიტომაც მე ასეთ პოლიტიკურ ფიგურას არ ვიცნობ. თუმცა, აქ ისევ და ისევ მოქმედებს რაღაც ფაქტორები.

***– რა ფაქტორი მოქმედებს?***

– სამეგრელოში რაღაც პროექტები განხორციელდა, განსაკუთრებით 2007 წლიდან და ხალხი დღესაც იქიდან სარგებელს ნახულობს. ასეთი რამ შევარდნაძეს თავში აზრადაც არ მოსვლია.

***– თქვენ სად იყრით კენჭს?***

– მე კენჭს ვიყრი აბაშის საარჩევნო ოლქში. მაჟორიტარი კანდიდატი ვარ.

***– კონკურენცია არის?***

– კონკურენცია არის. ჩემი კონკურენტია სოფლის მეურნეობის მინისტრი, რომელიც დამიყენა „ქართულმა ოცნებამ“.

***– ზუგდიდში რომ ყოფილიყავით მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, საინტერესო იქნებოდა, ხალხი როგორ მოიქცეოდა. ზუგდიდი რატომ არ აირჩიეთ?***

– აბაშაში სიტუაციას ვიცნობ. ზუგდიდში კი სიტუაციას ისე არ ვიცნობ, როგორც საჭიროა.

***– აბაშაში რა სიტუაციაა?***

– საარჩევნო კამპანია წარმატებით მიმდინარეობს. დიდი მხარდაჭერა მაქვს. დავდივარ სოფლიდან სოფელში, მთიდან ბარში და ბარიდან მთაში და ვხვდები მოსახლეობას. უკვე ასეულობით ოჯახში ვარ ნამყოფი. ასეულობით შეხვედრა მქონდა. ყველგან არის ძალიან დიდი ინტერესი და ძალიან დიდი მხარდაჭერა. ჩემი დამარცხება იქ ძალიან რთული იქნება, თუ ხელისუფლება კარუსელებითა და მსგავსი მეთოდებით არ გაიფორმებს გამარჯვებას. სხვაგვარად მათი შანსი ძალიან მცირეა.

## ალეკო ელისაშვილი ირაკლი კობახიძეზე – „თმაგაპუწული, ფაჩუჩებიანი, გოგლი-მოგლი ბიჭი გამოვიდეს, მოყვეს, სად იყო 2012 წლამდე“



– თმაგაპუწული, ფაჩუჩებიანი, გოგლი-მოგლი ბიჭი გამოვიდეს, მოყვეს, სად იყო 2012 წლამდე და ბოდიში მოგვიხადოს და თქვას, რას აპროტესტებდა.

ასე უპასუხა საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის, ირაკლი კობახიძის განცხადებას, რომელმაც აღნიშნა, რომ ალეკო ელისაშვილის აქტიურობა 2012 წლამდე არ ახსოვს. ელისაშვილი კობახიძისგან ან „ქართული ოცნების“ სხვა ლიდერებისგან მისთვის და მისი მეგობრებისთვის ბოდიშის მოხდას ითხოვს.

**ალეკო ელისაშვილი:**

– ეს თმაგაპუწული და გოგლი-მოგლი ბიჭი რომ გამოდის ახლა და ყვება რაღაცებს, თითქოს ჩვენ არაფერს ვაკეთებდით და ის იყო ქართული პროტესტის მედროშე, გამოვიდეს და მოყვეს, თვითონ სად იყო 2012 წლამდე, რას აპროტესტებდა.

2012 წლის ოქტომბრის ბოლოს რომ გახდნენ ყველანი დევგმირები და ლომები, ველოდები პასუხს და თუ ბოდიში არ იქნება, შემდეგ ნუ დამაბრალებენ, რომ არაკორექტული ვარ და თავს ვერ ვიკავებ.

მოგვიხადოს საჯარო ბოდიში მე და ჩემს მეგობრებს, რომლებთან ერთადაც წლების განმავლობაში ქუჩა-ქუჩა დავდიოდი და ვმართავდი აქციებს იმელის, მირზა შაფის დასაცავად, ვაკის პარკში ხეების მოჭრის წინააღმდეგ.

კობახიძის განცხადება იყო არა მხოლოდ ჩემი, არამედ იმ ასეულობით ადამიანის შეურაცხყოფა, ვისაც ეშინოდა ნაციონალების დროს, მაგრამ შიშს ებრძოდა, გამოდიოდა ქუჩაში და კობახიძესავით გულგრილი არ იყო.

ალეკო ელისაშვილის თქმით, როგორც ბევრს ჰგონია, ირაკლი კობახიძე პატარა, მიამიტი ბიჭი არ არის, ის 38 წლისაა და უნდა მიბაძოს დავით ნარმანიას რამდენიმე საათში ბოდიშის მოხდით.

– ირაკლი კობახიძე ამ თავისი ვარცხნილობით ნამდვილად არ გვახსოვს, – აღნიშნა ელისაშვილმა.

კითხვაზე, „სად იყავი 2012 წელს“ კამპანიური ხასიათი ხომ არ მიიღო, ელისაშვილმა უპასუხა, რომ „ქართულ ოცნებაში“ „სისულელემ მიიღო კამპანიური სახე, ჯერ ნარმანიამ აიღო ესტაფეტა, ახლა კობახიძე აგრძელებს და როგორც ჩანს, რიგი დგას სისულელეების თქმის“.

ელისაშვილი იმ შემთხვევაში, თუკი ირაკლი კობახიძე ბოდიშს არ მოიხდის, „ქართული ოცნების“ სხვა ლიდერებისგან ელოდება ამ ნაბიჯს. საკრებულოს წევრი აცხადებს, რომ შეურაცხყოფისთვის სამართლებრივ ბრძოლას არ გეგმავს.

„ქართული ოცნების“ აღმასრულებელ მდივან ირაკლი კობახიძის განცხადებით, არაკორექტულია დავით ნარმანიას გადადგომის მოთხოვნა იმ პირების მხრიდან, რომლებიც გიგი უგულავას მმართველობას ფუთავდნენ. კობახიძის თქმით, ქალაქის იერსახესა და გამწვანებაზე ალეკო ელისაშვილის ასეთი აქტიურობა 2012 წლამდე არ ახსოვს.

**ინტერპრესნიუსი**

## ირაკლი კობახიძე: „ძალიან მალე სატელევიზიო სივრცეში აღიკვეთება ბილწსიტყვაობა“

– ძალიან მალე სატელევიზიო სივრცეში აღიკვეთება ბილწსიტყვაობა, რომლის განმასახიერებლები ალეკო ელისაშვილი და ნატა ფერაძე არიან.



რაც ტელეეთერის მეშვეობით ნატა ფერაძის და ალეკო ელისაშვილის სახით ხდება, ადასტურებს, რომ ჩვენ ვართ პოლიტიკური და სამოქალაქო კულტურის განვითარების ძალიან დაბალ დონეზე.

ასე პასუხობს „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე თბილისის საკრებულოს დეპუტატ ალეკო ელისაშვილის განცხადებას, რომელმაც კობახიძისგან ბოდიშის მოხდა მოითხოვა.

– არ ვაპირებ ალეკო ელისაშვილთან პოლემიკაში შესვლას, უბრალოდ გავიმეორებ, რომ 2012 წლამდე მისი აქტიურობა არ მახსოვს, არც მისი თანამოაზრეების მხრიდან, რისი თვითმხილველიც ვართ 2012 წლის შემდეგ.

ზოგადად გეტყვით იმ პროექტებს, რომელთა ერთ-ერთი განსახიერებაც არის ალეკო ელისაშვილი. კარგად მახსოვს როგორ შეიქმნა ალეკო ელისაშვილისგან რუსთავი 2-ის მიერ ხატი, როგორც გულანთებული ადამიანის, ეს ის დრო იყო, როცა რუსთავი 2-ში ბუზიც ვერ შეფრინდებოდა ნაციონალების ნებართვის გარეშე.

ეს პროექტი დაიწყო 2012 წლამდე და გრძელდება ახლაც, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ ტვ პირველის ეთერში და დასძინა, რომ იყო კონკრეტული პროექტები, რომლებსაც ჰყავდა კონკრეტული დამკვეთები და ამ პროექტების განმახორციელებლები იყვნენ ეს ადამიანები და იგივე გრძელდება ახლაც.

ჟურნალისტის რეპლიკაზე, რომ ალეკო ელისაშვილი პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა გიგი უგულავას დროს სხვადასხვა პროექტის განხორციელებას, კობახიძემ უპასუხა, რომ ამას ის არასოდეს აკეთებდა იქ, სადაც ამას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა.

– სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია არის ერთ-ერთი სიმბოლო ქალაქის დამახინჯების.

სწორედ უგულავას მმართველობის პერიოდში ფუნდამენტურად დამახინჯდა ქალაქის იერსახე, გამწვანებაზე ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას.

ერთ კონკრეტულ, ლოკალურ ტერიტორიაზე ათი ათასობის ხე გაიჩეხა უგულავას მმართველობის პერიოდში. თქვენ თუ შეგიძლიათ დამისახელოთ ერთი შემთხვევა მაინც, როდესაც ან ალეკო ელისაშვილმა, ან ნატა ფერაძემ, ან რომელიმე მათმა თანამოაზრემ გააპროტესტა ასეთი რამ, მაშინ მე შემიძლია ხელები ავწიო, მაგრამ ასეთი რამ რეალურად არ მომხდარა და მიზეზი ამ ყველაფრის ზუსტად ის იყო, რაც ვთქვი. ანუ, კონკრეტული პროექტები, რომელსაც ყავდა კონკრეტული დამკვეთები და სწორედ ამ პროექტების განმახორციელებლები იყვნენ მაშინაც ეს ადამიანები და ამ პროექტის განმახორციელებლები არიან ეს ადამიანები 2012 წლის შემდეგაც. ეს არის რეალური სურათი...

ის, რაც ხდება ტელეეთერის მეშვეობით, ნატა ფერაძის და ალეკო ელისაშვილის სახით, არის ერთ-ერთი გამოხატულება იმისა, რომ ჩვენ ვართ პოლიტიკური და სამოქალაქო კულტურის განვითარების ძალიან დაბალ დონეზე, თუმცა ვითარება ძალიან მალე შეიცვლება და ძალიან მალე აღიკვეთება ჩვენს სატელევიზიო სივრცეში ბილწსიტყვაობა და სიძულვილის ენა, რომლის განმასახიერებლები არიან ელისაშვილი და ნატა ფერაძე, – აღნიშნა პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა.

კითხვაზე, რა ფორმით აღიკვეთება სიძულვილის ენა და ბილწსიტყვაობა, იგულისხმება თუ არა ამაში საკანონმდებლო ცვლილებები, კობახიძემ უპასუხა, რომ ხელისუფლება არანაირ რეპრესიულ ზეწოლას არ გეგმავს, უბრალოდ განვითარდება პოლიტიკური და სამოქალაქო კულტურა.

რაც შეეხება იმას, თუ რას აკეთებდა თავად ირაკლი კობახიძე 2012 წლამდე, პარტიის ერთ-ერთი ლიდერი განმარტავს, რომ ის ერთ-ერთი პროფესორთაგანი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც თავის პოზიციას ყოველთვის აფიქსირებდა.

– იმ დროს, როცა ალეკო ელისაშვილი ჩართული იყო იმ პროექტების განხორციელებაში, რომელთა ავტორიც დაგისახელეთ, მაშინ მე სულ გამოვხატავდი ჩემს პრინციპულ პოზიციას, სამოქალაქო აქტივობების და აქციების სახით. მათ შორის უნივერსიტეტში, სადაც წლების განმავლობაში ვატარებდი ლექციებს. მე ვიყავი ერთადერთი პროფესორი, რომელმაც გააპროტესტა იქ საკონსტიტუციო ცვლილებები, რაც ნაციონალურმა მოძრაობამ განახორციელა. მაშინ, როცა ალეკო ელისაშვილი ახორციელებდა ნაცმოძრაობის პროექტებს, მე გამომაგდეს თსუ-დან, ხოლო 2011 წლიდან ჩავერთე „ქართული ოცნების“ აქტივობებში, – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

კობახიძის განცხადებით, არაკორექტულია დავით ნარმანიას გადადგომის მოთხოვნა იმ პირების მხრიდან, რომლებიც გიგი უგულავას მმართველობას ფუთავდნენ.

მისივე თქმით, ქალაქის იერსახესა და გამწვანებაზე ალეკო ელისაშვილის ასეთი აქტიურობა 2012 წლამდე არ ახსოვს.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ალექსანდრე თვალჭრელიძე: „ლარის კურსი 1.8 უნდა იყოს“

## „ცენტრალური ბანკის საქმიანობა ბურუსით არის მოცული“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **ალექსანდრე თვალჭრელიძე** პასუხობს.

***– ბატონო სანდრო, რამდენად არის კავშირში ქართული ეკონომიკა და არჩევნები? საუბარია, რომ ძალიან დიდი ფული იხარჯება საარჩევნოდ და ეს ყველაფერი 8 ოქტომბრის შემდეგ დაგვეტყობა. რას ფიქრობთ თქვენ?***

– არჩევნების დროს ყოველთვის იხარჯება ფული. ამის შესახებ არსებობს კანონი. აბა არჩევნები სხვაგვარად როგორ წარმოუდგენიათ?!

***– როდესაც პოლიტიკური პარტიები გასცემენ დაპირებებს, რომ მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ პენსია 300, 500 და ასე შემდეგ ლარი გახდება, ეს რამდენად რეალურია? აქვს ჩვენს ბიუჯეტს ამის თავი?***

– კარგით რა, რისი გამკეთებლები არიან! მილიონ სამუშაო ადგილსაც გვთავაზობდნენ და სად არის?! არსებობს სახელმწიფო ბიუჯეტი და არსებობს ამ ბიუჯეტის მართვის ხარჯვის მუხლები. ვერაფერსაც ვერ გააკეთებენ. ამის საშუალება დღევანდელ ბიუჯეტს არ აქვს. რისი საშუალებაც იყო, ის უკვე გაკეთა.



***– კერძოდ?***

– ჩვენ გვაქვს საყოველთაო ჯანდაცვა, რომელზეც მილიონები იხარჯება!

***– ანუ ეს ცრუ დაპირებაა?***

– რასაკვირველია, ცრუ დაპირებაა!

***– გაუფასურებული ლარი კონკრეტულ ნიშნულზე გაჩერდა, მის გამყარებს აღარ ვარაუდობენ.***

– ჩვენმა მრჩეველებმა მსოფლიო ბანკიდან მოითხოვეს ასეთი გაცვლითი კურსი. მე მეჩვენება, რომ ცუდი კურსია. კურსი უნდა იყოს 1,8. თუმცა ცენტრალური ბანკის თავმჯდომარის საქმეა, როგორ კურსს დაიჭერს. ძალიან მარტივი რამ არის ამ ეტაპზე გასაკეთებელი, უნდა აიკრძალოს ნებისმიერი კრედიტის ფიქსაცია დოლარში. ჩვენ გვაქვს ლარი და კრედიტები მხოლოდ ლარში უნდა გაიცეს.

***– ეროვნული ბანკის ხელმძღვანელის საქმიანობას უკვე ბევრი უარყოფითად აფასებს, თქვენი პოზიცია როგორია?***

– ჯერ ადრეა ამაზე საუბარი. ერთი წელი ხომ მაინც უნდა ვაცადოთ?! ჯერ ნაადრევია შეფასებები. არ შეიძლება ყველაფერს პოლიტიკური სარჩული დაუდო! აუცილებლად უნდა გავიდეს დრო. ამაზე შეფასება თებერვალში მკითხეთ.

***– არჩევნების შემდეგ ეკონომიკურ რყევებს არ ელოდებით?***

– არ ველოდები. არჩევნებს მივესალმები, ის უნდა ჩატარდეს სამართლიანად და ყველაფერი რიგზე იქნება.

***– ლარის კურსი კიდევ უფრო ხომ არ გაიქცევა?***

– არ ვიცი. ცენტრალური ბანკის საქმიანობა ბურუსით არის მოცული. არაფერი არ იბეჭდება, არანაირი ინფორმაცია არ გამოდის. მიშამ გააკეთა ადრე, რომ ყველაფერი იბეჭდებოდა კვარტალურად და ეს ძალიან კარგი იყო, რადგან ინფორმაციები გვქონდა. დღეს კი ცენტრალური ბანკის საქმიანობის შესახებ არანაირ ინფორმაციებს არ ვფლობთ.

# რა უჯდება სახელმწიფო ბიუჯეტს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ შენახვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის დასკვნა გამოაქვეყნა. დასკვნის თანახმად, არსებობის 5 წლის განმავლობაში საწარმოს ფინანსური ზარალის ოდენობა 140 მილიონ ლარს აღწევს.

კერძოდ, 2010 წელს კომპანიის წლიურმა ფინანსურმა ზარალმა 10 მილიონზე მეტი ლარი შეადგინა, 2011 წელს – 8, 5 მილიონამდე ლარი, 2012 წელს – 5, 3 მილიონზე მეტი ლარი, 2013 წელს – 19,5 მილიონზე მეტი, 2014 წელს – 19,8 მილიონზე მეტი, 2015 წელს კი ზარალის ოდენობამ 76, 3 მილიონ ლარს გადააჭარბა. მიუხედავად მწვავე ფინანსური პრობლემებისა, 2013 წელს კომპანიაში დასაქმებულ პირთა ხელფასებზე 14,6 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა, ხოლო დანამატების სახით გაცემულ იქნა 2,9 მილიონამდე ლარი. 2014 წლის განმავლობაში ხელფასებში გაიცა 18,2 მილიონამდე ლარი, ხოლო დანამატის სახით – 2,5 მილიონ ლარზე მეტი.



აღსანიშნავია, რომ მარტო კომპანიის ხელმძღვანელ პირებს 2013 წლის ივლისსა და დეკემბერში ჯამში მიღებული აქვთ 219.650 ლარის დანამატი, რაც მათივე წლიური თანამდებობრივი სარგოს 99%-ს შეადგენს. წლის ბოლოს კომპანიის მაშინდელმა დირექტორმა არჩილ ცაბუტაშვილმა საახალწლო დანამატის სახით 29.000 ლარი მიიღო, მისმა პირველმა მოადგილემ – 25.500 ლარი, ხოლო ოთხ მოადგილეს საერთო ჯამში 85.800 ლარი ერგო (თითოეულს – 21.450 ლარი).

უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ კომპანიის დირექტორის შრომის ანაზღაურების წლიურმა ოდენობამ 142.500 ლარი შეადგინა.

დასკვნაში მოყვანილია სხვა საგულისხმო ფაქტებიც:

– ახალი სათავო ოფისის შენობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენაზე 2012-2015 წლებში კომპანიამ დახარჯა 247,5 ათასი ლარი, თუმცა სამშენებლო სამუშაოების დაწყების შესახებ ხელშეკრულება მხოლოდ 2015 წლის 1 დეკემბერს გაფორმდა შპს „დაგთან“;

– 2013-2014 წლებში კომპანიამ სსიპ „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას“ გადაუხადა 375 ათასი ლარი და შეისყიდა აზომვის მომსახურება, რისი მიზანიც იყო კომპანიის ძველი ქსელების დაზუსტება და საჯარო რეესტრში საკუთრებად რეგისტრაცია, თუმცა ძველი ქსელები საჯარო რეესტრში არ დარეგისტრირებულა;

– 2013 წლის 12 სექტემბერს კომპანიამ 128 ათას ლარად შეისყიდა იმავე წელს გამოშვებული მაღალი გამავლობის ავტომანქანა „ტოიოტა ლენდ კრუიზერ 200“;

– მთავრობის განკარგულების საფუძველზე კომპანიამ გამარტივებული წესით შეისყიდა 1 მილიონზე მეტი ლარის ღირებულების წყლის მრიცხველების მოწყობის სამუშაოები. აქედან 773 ათასი ლარის სამუშაოებზე ვერ დასტურდება გამარტივებული წესით შესყიდვის აუცილებლობა.

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის თვალსაზრისით, კომპანია წარმოადგენს მეწარმე სუბიექტს, რომელიც შექმნილია მოგების მიღების მიზნით.

მიუხედავად ამისა, დაფუძნების დღიდან იგი ფუნქციონირებს სახელმწიფოსგან მიღებული ფინანსური დახმარების (სუბსიდიები და კაპიტალში შეტანილი ფულადი სახსრები) მეშვეობით, რომლის მოცულობამ 2015 წლის ჩათვლით შეადგინა 91 მილიონი ლარი. აუდიტის დასკვნაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფოსგან მიღებული დახმარების გარეშე კომპანია ყოველ წელს ამთავრებს მკვეთრად უარყოფითი ფინანსური შედეგით, რომლის დინამიკაც მომავალში ბუნებრივად წარმოქმნის კომპანიის ფუნქციონირების პრობლემას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური რეკომენდაციით მიმართავს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, განიხილოს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ უარყოფითი ფინანსური შედეგები და გააანალიზოს მათი გამომწვევი მიზეზები.

ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათეულობით მილიონი ლარის დაზოგვის მიზნით, სამინისტრომ იმსჯელოს კომპანიის ხარჯების ოპტიმიზაციაზე და განიხილოს ყველა შესაძლო ალტერნატივა.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული კომპანია დაფუძნებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 11 იანვრის ბრძანების საფუძველზე. იგი სამეწარმეო რეესტრში დარეგისტრირდა სახელმწიფოს მიერ 100% წილობრივი მონაწილეობით.

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის №978 განკარგულებით, კომპანიის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი მართვის უფლებით გადაეცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

საზოგადოება

## საჯარო სკოლებში სწავლა 15 სექტემბერს დაიწყება



საჯარო სკოლებში სწავლა 15 სექტემბერს დაიწყება საქართველოს მასშტაბით. წელს საჯარო სკოლების პირველი კლასის მოსწავლეებს საჩუქრად გადაეცემათ პორტაბელური კომპიუტერები.

ასევე, კომპიუტერები გადაეცემათ მეათე კლასის მოსწავლეებს, რომლებმაც საბაზო საფეხური დაასრულეს და მათი საბაზო საფეხურის ნიშანია 10 ქულა დამრგვალების გარეშე; კომპიუტერებს ასევე მიიღებენ საჯარო სკოლების პირველი კლასის დამრიგებლები.

წელს სამინისტრომ პირველკლასელებისთვის შეიძინა – 55.300 პორტაბელური კომპიუტერი (ბუკი); წარჩინებულებისთვის – 2.470 პორტაბელური კომპიუტერი; პირველკლასელთა დამრიგებლებისთვის – 2.530 პორტაბელური კომპიუტერი;

რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, წელს, უფასო სახელმძღვანელოებს მიიღებს საქართველოს საჯარო სკოლის ყველა მოსწავლე; კერძო სკოლის სოციალურად დაუცველი მოსწავლეები, რომელთა სარეიტინგო ქულა ნაკლებია 70.001-ზე; ასევე, ახალგორისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული სკოლების მოსწავლეები.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, წელს დაიბეჭდა 2.246.738 წიგნი, რვეული და ტესტი.

სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლის გარდა, საქართველოს მასშტაბით ყველა საჯარო სკოლაში სწავლა 15 სექტემბერს დაიწყება. სოფელ ლამბალოს სკოლაში კი, სასწავლო პროცესი 10 ოქტომბერს განახლდება. ამასთან, სწავლის დაწყების თარიღს კერძო სკოლები თავად განსაზღვრავენ.

საქართველოს მასშტაბით, საჯარო სკოლებში პირველკლასელთა რაოდენობა 53.540, ხოლო მთლიანად, მოსწავლეთა რაოდენობა 509.120-ია.

**ინტერპრესნიუსი**

## ლამბალოში 15 სექტემბერს სწავლა ისევ ბოსელსა და სარდაფებში განახლდება

საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოში, 15 სექტემბერს სასწავლო პროცესი ისევ ბოსელსა და სარდაფებში განახლდება.

სკოლის ახალი შენობის მშენებლობა, რომელიც ორწელიწადნახევრის წინ დაიწყო, ამ დრომდე ვერ დასრულდა. განათლების სამინისტროში აცხადებენ, რომ ახალ სკოლაში სასწავლო პროცესი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, 10 ოქტომბრიდან დაიწყება.

ლამბალოს სკოლის მშენებლობა რამდენჯერმე შეჩერდა, მათ შორის მიმდინარე წლის ზაფხულშიც.

სამინისტრომ თურქულ სამშენებლო კომპანიასთან ხელშეკრულება იმ მიზეზით შეწყვიტა, რომ დამქირავებელი მშენებლობაზე დასაქმებულებს ხელფასს არ უხდიდა. განათლების სამინისტროს ინფორმაციით, სამუშაოებს ამჟამად კომპანია „ტრანს მშენი“ აწარმოებს.



უკვე რვა წელია ლამბალოში ბავშვები კერძო პირებისგან ნაქირავებ სათავსოებში სწავლობენ, სადაც განათლების მისაღებად არანაირი პირობა არ არის. მოსწავლეებს გაკვეთილები იმ ოთახებში უტარდებათ, სადაც ადრე ბოსელი იყო.

2013 წლის 30 აპრილს, სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა რეკომენდაციით მიმართა განათლებისა და მეცნიერების ყოფილ მინისტრს და ახლანდელ პრეზიდენტს, გიორგი მარგველაშვილს, დაუყოვნებლივ მიეღო ზომები, რათა ლამბალოს საჯარო სკოლის ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსწავლეებს განათლების მიღება ღირსეულ გარემოში შეძლებოდათ.

2014 წლის 4 თებერვალს, ლამბალოში საჯარო სკოლის მშენებლობა დაიწყო. განათლების მაშინდელი მინისტრი თამარ სანიკიძე აცხადებდა, რომ სკოლის მშენებლობა 2015 წლის ივნისში დასრულდებოდა.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

სამართალი

## დემურ სტურუას თვითმკვლელობამდე მიყვანაში ბრალდებული პოლიციელი მიმალვაში იმყოფება

შსს-ს სამტრედიის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი გოდერძი თევზაძე, რომელსაც დემურ სტურუას თვითმკვლელობის საქმეზე პროკურატურამ ბრალი წარუდგინა, მიმალვაში იმყოფება.



ამის შესახებ მთავარი პროკურატურის განცხადებაშია ნათქვამი, რომლის თანახმადაც თევზაძეს, დემურ სტურუას გარდაცვალების საქმეზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში ბრალი სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებისა და თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით წარედგინა.

საგამოძიებო უწყების ცნობით, ვინაიდან, გოდერძი თევზაძე თავს არიდებს გამოძიებას, დაუსწრებლად გამოტანილია დადგენილება ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლითა და 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

– ასევე პროკურატურა მიმართავს სასამართლოს დაუსწრებლად გ.თევზაძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით. გ.თევზაძის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სათანადო პროცედურების განხორციელების შემდეგ მის მიმართ გამოცხადდება ძებნა, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

# განცხადებები

● გიწვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

**მკურნალობა**

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერებისგაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.


# თურქეთი სირიაში სამხედრო ოპერაციას განაგრძობს



გრძელდება ოპერაცია „ევფრატის ფარი“.

ასე უწოდებენ თურქეთის არმიის ოპერაციას სირიაში. თურქებს აქტიურად უჭერს მხარს სირიის თავისუფალი არმია, რომელიც თურქმანებით და არაბებითაა დაკომპლექტებული.

სირიის თავისუფალმა არმიამ ისლამისტები რიგი სოფლიდან განდევნა, თურქეთის ავიაციამ კი ქურთების პოზიციებზე დარტყმა განახორციელა.

შედეგად მოკლულია 25 ქურთი მებრძოლი. გარდა ამისა, თურქული ავიაციის დარტყმების შედეგად 35 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.

# ევროკავშირი ყირიმელ თათართა ლიდერის გათავისუფლებას მოითხოვს



Mumin Shakirov/(RFE/RL)

ევროკავშირი ყირიმელ-თათართა მილი-მეჯლისის თავმჯდომარის მოადგილე უმეროვის გათავისუფლებას მოითხოვს.

ის მას შემდეგ დააპატიმრეს, როცა ტელეფონით საუბარში განაცხადა: „რუსეთი უნდა ვაიძულოთ, რომ ყირიმიდან და დონბასიდან წავიდეს.“

უმეროვის დაპატიმრების შემდეგ ევროკავშირმა ის პოლიტპატიმრად გამოაცხადა და მისი დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვა. ამის შემდეგ უმეროვი ციხიდან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, აქაოდა, ის არა პოლიტპატიმარი, არამედ ფსიქიკური ავადმყოფიაო.

– რუსეთი სტალინიზმის დროინდელ მეთოდებს დაუბრუნდა! დასავლეთმაც მასზე ზეწოლა უნდა გააძლიეროს! – განაცხადა პეტრო პოროშენკომ.

# კოლუმბიაში ცეცხლი შეწყდება

კოლუმბიის რევოლუციურმა არმიამ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გამოაცხადა. სათანადო შეთანხმებას



ხელი ჰავანაში 22 აგვისტოს მოეწერა.

ამის შემდეგ კოლუმბიელ პარტიზანებსა და მთავრობას შორის მოლაპარაკებები კიდევ გაგრძელდა. მიღწეულ იქნა შეთანხმება აგრარული რეფორმის განხორციელების, აგრეთვე კოლუმბიის რევოლუციური არმიის მებრძოლთა ამნისტიის, მათი პოლიტიკურ ცხოვრებაში სრულფასოვანი ჩართვის შესახებ.

ამის შემდეგ კოლუმბიელმა პარტიზანებმა ოფიციალურად გამოაცხადეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

# უზბეკეთის პრეზიდენტი საავადმყოფოში მოათავსეს



უზბეკეთის მთავრობის განცხადებით, პრეზიდენტი ისლამ ქარიმოვი საავადმყოფოში მოათავსეს.

განცხადებაში არ არის მითითებული, კონკრეტულად რა დაავადება სჭირს პრეზიდენტს. ნათქვამია მხოლოდ ის, რომ ქარიმოვი სტაციონარულ მკურნალობას საჭიროებს.

– თანახმად ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციისა, ქარიმოვს ინსულტი დაემართა, – იტყობინება რტრ-ი.

ისლამ ქარიმოვი პრეზიდენტად ჯერ კიდევ 1990 წელს აირჩიეს. მანამდე ის უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო.

# ბრძოლები ლიბიაში



ლიბიაში სამთავრობო ძალები ქალაქ სირტის შტურმს განაგრძობენ. ის დედაქალაქ ტრიპოლიდან 450 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. სირტი ლივიის ტერიტორიაზე მოქმედი ისლამური სახელმწიფოს უკანასკნელი საყრდენი პუნქტია.

ბრძოლები გააფთრებულ ხასიათს ატარებენ. სამთავრობო ძალები დანაკარგს განიცდიან. მიუხედავად ამისა, შეტევას განაგრძობენ.

# შტაინმაიერი უკმაყოფილოა



გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შტაინმაიერმა დონბასში შექმნილი მდგომარეობით უკმაყოფილება გამოთქვა. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ეროსა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ვაშჩიკოვსკისთან საუბარში მან განაცხადა:

– დონბასში დეესკალაციისათვის ყველაფერი უნდა ვიღონოთ. აუცილებელია მივაღწიოთ იმას, რომ მხარეები კომპრომისზე წავიდნენ!

შტაინმაიერმა ხაზი გაუსვა იმას, რომ დონბასის ომი ევროპას საფრთხეს უქმნის და განაცხადა, რომ იარაღზე კონტროლი უნდა გაძლიერდეს.

# იტალიის პროკურატურა ნგრევის მიზეზებს შეისწავლის



იტალიაში სულ უფრო ხმამაღლა გაისმის ხმები, რომ ბევრი შენობა სამშენებლო ნორმების დარღვევით აშენდა. მიწისძვრის შედეგად ნგრევის ასეთი მასშტაბების მიზეზიც ესააო.

ამ საკითხით პროკურატურა დაინტერესდა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*


# მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.


# რესტორნის მფლობელმა მუსლიმანი ქალები გამოაძევა

საფრანგეთში რესტორნის მფლობელმა, რომელიც მიშლენის გასტრონომიულ გიდში შედის, თავისი დაწესებულებიდან ორი მუსლიმანი ქალი გამოაძევა.

მამაკაცმა სახელად ჟან-ბატისტმა (მისი გვარი უცნობია), რომელიც პარიზის გარეუბანში კომუნა ტრამბე-ანფრანსში მდებარე რესტორნის მფლობელია, ქალებს მისი დაწესებულების დატოვება მოსთხოვა, ვინაიდან მისი აზრით, „ყველა მუსლიმანი ტერორისტია“.




აღნიშნული ინციდენტი სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს, რის შემდეგაც მისი ამსახველი ვიდეოჩანაწერი სოციალურ ქსელებში გავრცელდა.

ადგილობრივი მუსლიმანური საზოგადოების წევრებმა რესტორნის წინ საპროტესტო აქცია გამართეს მოთხოვნით, ან ბოდიში იქნას მოხდილი მომხდარის გამო, ან რესტორანი დაიხუროს. დაწესებულების მფლობელი პოლიციელებმა დაკითხეს.

ამის შემდეგ რესტორნის მფლობელმა ბოდიშის მოხდა გადაწყვიტა:

– ბოდიშს ვიხდი. ჩემი მეგობარი დაიღუპა „ბატაკლანში“ და ამის გამო გონება ამერია.

შეგახსენებთ, რომ პარიზის საკონცერტო დარბაზ „ბატაკლანზე“ თავდასხმა ტერორისტებმა 2015 წლის ნოემბერში განახორციელეს. დაწესებულების 90 სტუმრის დახოცვაზე პასუხისმგებლობა ტერორისტულმა დაჯგუფება „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



# ალოე — სიცოცხლის ელექსირი

ალოე სამკურნალო, მრავალწლიანი, შედარებით დაბალი ტანის მცენარეა,მას „სიცოცხლის გამახავგძლივებელ ელექსირს“ უწოდებენ.

ალოეს სამშობლო სამხრეთ აფრიკაა, სადაც მისი სიმაღლე 4 მ-ის აღწევს. საქართველოში ველური სახით არ გვხვდება, მაგრამ კარგადაა ცნობილი, როგორც ოთახის კულტურა და სამკურნალო საშვალება. მას აქვს ხორციანი ფოთლები, რომელთა სიგრძე 60 სმ-მდეა.

როგორც წესი, ფოთლები ზემოთ ქმნიან როზეტს. ფორმით წაგრძელებულ-მახვილისებრია, ეკლისმაგვარი კიდეებით. საყვავილე ისარი მაღალია, რომელიც მთავრდება წითელი ან ყვითელი ლამაზი ფერის გრძელი მტევანა ყვავილედით.

ალოე იზრდება ნახევრადუდაბნოებში. აქვს წვნიანი ფოთოლი, ლორწოვანი რბილობით, რაც უზრუნველყოფს მის არსებობას გვალვის პირობებში.

მედიცინაში ალოეს გამოყენება ხდება როგორც წვენის ასევე პრეპარატების სახით.გააჩნია ბაქტერიციდული და ბაქტერიოსტატიკური თვისებები, აქტიურია სხვადასხვა მიკრობების: სტაფილოკოკების, სტრეპტოკოკების, ნაწლავის და დიფტერიის ჩხირების მიმართ. ალოეს კარგი ანთების საწინააღმდეგო და ჭრილობის შემხორცებელი თვისებები აქვს, გამოჰყავს რადიაციის პროდუქტები.

ალოე ეხმარება ორგანიზმს ინფექციებთან ბრძოლაში, კარგი ბიოსტიმულატორია, ხელს უწყობს ორგანიზმის გაჯანსაღებას.

ალოეს პრეპარატები გამოიყენება სხივური დაზიანებების, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დროს, ის ცნობილია როგორც მასტიმულირებელი საფაღარათო და ქოლერეზული საშვალება, მას ხშირად ხმარობენ რქოვანის და თვალის დაავადებების, ტრამვების, ეგზემების ქალის სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებების დროსაც. მისი მცირე დოზებით (0,05-0,2 გ) მიღება აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, მადას.

ალოეს ახალი წვენი ხელს უწყობს ჭრილობის შეხორცებას. მის წვენს თაფლთან და კარაქთან ერთად იყენებენ ტუბერკულოზისა და საერთო სისუსტის დროს.

ალოეს წვენს ფართოდ იყენებენ კოსმეტიკაშიც. იგი კარგი ბიოსტიმულატორია.. ნაყენის გამოყენება შეიძლება გამოსავლებად პირის ღრუსა და ყელის ანთებითი პროცესების დროს.



ალოეს წვენი შეიცავს საფაღარათო ანტრაგლიკოზიდებს და ფისებს. დიდი დოზებით მისი მიღება (0,5-1,0 გ) იწვევს ძლიერ საფაღარათო მოქმედებას, რაც 6-8 სთ-ის შემდეგ ვლინდება. ამასთან, იწვევს სისხლის ჭარბად მიწოდებას მენჯ-ბარძაყის ორგანოებისაკენ, ამიტომ მისი გამოყენება არ შეიძლება ორსულობის დროს.

ალოეს გამოყენებისას უნდა ავიღოთ მცენარის შუა და ქვედა ნაწილები ჩვენს პირობებში ალოეს ფოთლები მცირე ზომისაა. ამიტომ წვენის მისაღებად ფოთლებს ჯერ წნეხავენ და შემდეგ აორთქლებენ.

ალოეს ნედლ წვენს ოქტომბრის ბოლოდან ნოემბრის შუარიცხვებამდე წურავენ. ეს შემდეგნაირად კეთდება: შეაგროვეთ ქვედა და ღეროს შუაში განლაგებული ფოთლები, რომელთა სიგრძე 18 სმ-ს აღწევს და სამი წლისაა. კარგად გარეცხეთ ადუღებული წყლით, დაჭერით პატარა, 0,2-0,3 სმ ზომის ნაჭრებად, შეახვიეთ დოლბანდში და გაწურეთ. მიიღეთ 1 ჩ.კ. 2-3-ჯერ დღეში ჭამამდე 20-30 წთ.-ით ადრე.

გთავაზობთ რამდენიმე რეცეპტი ალოეთი მკურნალობის დროს:

– ძლიერი ბრონქიტის დროს აიღეთ 15 გ. ალოე, ღორის ან ბატის გამდნარი ქონი 100 გ, კარაქი (უმარილო) – 100 გ, ფუტკრის თაფლი – 100 გ, გახსენით1 ჩაის ჭიქა ცხელ რძეში და მიიღეთ დღეში 2-ჯერ.

– გასტრიტის, დიზენტერიისა და ქრონიკული შეკრულობის დროს დალიეთ 1-2 ჩაის კოვზი ალოეს წვენი 2-3-ჯერ დღეში 30 წთ-ით ადრე ჭამის წინ. მკურნალობის კურსი 1-2 თვე.

– დაჩირქებული ჭრილობებისა და დამწვრობის დროს დაიდეთ ალოეს წვენში დასველებული დოლბანდი ან პირდაპირ დაიწვეთეთ წვენი დაზიანებულ ადგილას.

– მწვავე რინიტის განვითარების შესაჩერებლად ჩაიწვეთეთ ალოეს წვენი თითოეულ ნესტოში 5-8 წვეთი დღეში 3-ჯერ 3-5 საათის ინტერვალით.

– ნედლი ფოთლების წვენი გამოიყენება ნევრალგიის, თავის ტკივილის და სხვა დაავადებებისას. ასევე საჭმლის მოუნელებლობის დროს და მენსტრუაციის დასარეგულირებლად – 8-10 წვეთი ერთ ჯერზე.

– დასუსტებული ავადმყოფებისთვის და ბავშვებისთვის შემდეგი მკვებავი მასა მოამზადეთ: 100 გრ. ალოეს წვენი, 500 გრ. კაკალი, 300 გრ. თაფლი და 3-4 ლიმონის წვენი. მიიღეთ 1 ჩ.კ. 3-ჯერ დღეში ჭამამდე 30 წთ.-ით ადრე.

– ალოეს წვენს თაფლთან ერთად იდებენ ტრამვირებულ ადგილებზე, ხოლო მისი წვენი ღვინოსთან შერეული თმის ცვენის საწინააღმდეგოდ გამოიყენება.

– ალოეს პრეპარატების მიღება არ შეძლება ფეხმძიმეთათვის ორსულობის 7 თვის შემდეგ, ჰემოროიდული და საშვილოსნოდან სისხლდენის, კუჭ-ნაწლავის მწვავე მოშლილობის, გულ-სისხლძარღვთა მძიმე დაავადებების, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებების და ცისტიტის დროს.

## ლუდიც წამალია



ლუდის მოყვარულებს კი სურდოს საწინააღმდეგო ასეთ რეცეპტს ვთავაზობთ: ერთი სუფრის კოვზი გამხმარი ვირისტერფას ფოთლები ჩაის მსგავსად მოადუღეთ ერთ ჩაის ჭიქა მდუღარე წყალში. გაფილტრეთ, დაუმატეთ 1 სუფრის კოვზი თაფლი და 3 სუფრის კოვზი ლუდი. თბილი ნაყენი სვით დღეში 3-ჯერ თითო სუფრის კოვზი.

შეგიძლიათ ლუდის კომპრესებიც გაიკეთოთ:

– 1 ჭიქა ლუდი 30 გრადუსამდე გააცხელეთ, დაუმატეთ 1 ჩაის კოვზი თაფლი და ურიეთ, სანამ თაფლი მთლიანად არ გაიხსნება. დოლბანდი ამ ხსნარში დაასველეთ და ყელი შეიხვიეთ.

## რა დანიშნულება აქვს კალიუმს

კალიუმი – დიდ როლს ასრულებს უჯრედშიდა ცვლის პროცესში. იგი ხელს უწყობს ორგანიზმში ბუფერული სისტემის წარმოქმნას.

კალიუმისა და ნატრიუმის ცვლაში ერთგვარი ფიზიოლოგიური ანტაგონიზმი აღინიშნება. ორგანიზმში ნატრიუმის რაოდენობის ზრდა იწვევს კალიუმის კონცენტრაციის დაქვეითებას და მის გამოდევნას ორგანიზმიდან. ამ მიკროე-



ლემენტების ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა უცვლელად შეინარჩუნონ სისხლში და ქსოვილებში მარილების რაოდენობა და კოსმოსური წნევა, რომელზედაც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სისხლისა და ქსოვილებში საჭირო სითხის რაოდენობის შენარჩუნება. რაც უფრო მაღალია ქსოვილში მარილის კონცენტრაცია, მით უფრო მეტი წყლის რაოდენობაა საჭირო კოსმოსური წნევის მუდმივ დონეზე შესანარჩუნებლად.

ორგანიზმში კალიუმის გაზრდილი რაოდენობით შეყვანას თან სდევს წყლის გამოდევნა. კალიუმის დიდი რაოდენობით შემცველი დიეტა ეფექტური საშუალებაა დიურეზის გაძლიერებისათვის. კალიუმის ნაკლებობა იწვევს ორგანიზმის სისუსტეს, აპათიას, ჩონჩხის კუნთების სპაზმებს, გულის მუშაობის დარღვევას, ტახიკარდიას, პარეზებს და სხვა.

კალიუმის ძირითადი წყაროა მცენარეული პროდუქტები. განსაკუთრებით ბევრია იგი კარტოფილში. 500 გრამი კარტოფილი თითქმის მთლიანად აკმაყოფილებს ორგანიზმის სადღეღამისო მოთხოვნილებას კალიუმზე, რაც 2-3 გრამს შეადგენს.

# კენჭებისგან ჭარხალი დაგიცავთ, სიბრმავისგან — ვიტამინები, კბილის ტკივილს კი, სალბი დაგიამებთ



– 25 გ კოწახურის ქერქს დაასხით 100 მლ 70%-იანი სპირტი. გააჩერეთ 10 დღე ბნელ ადგილას. მიიღეთ 30 წვეთი 3-ჯერ დღეში. ფეხმძიმეებმა ეს ნაყენი არ უნდა გამოიყენონ.

– 1ჩ/ჭ დაქუცმაცებულ წითელი მოცვის ფოთლებს დაასხით 1,5 ჭიქა მდუღარე წყალი. შეფუთეთ, 1 საათი გააჩერეთ და გაფილტრეთ. მიიღეთ 1-2 ჭიქა 3-4-ჯერ დღეში ჭამამდე. მარილებს შველის ასევე ნედლი მოცვი ან მოცვის მურაბა.

### კბილის ტკივილის დროს:

1. 1 ს/კ სალბის ფოთლებს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 30-40 წუთი, გაწურეთ და თბილი ნაყენი გამოივლეთ. პროცედურა გაიმეორეთ 3-5-ჯერ, 30 წუთის განმავლობაში.

ასევე შეგიძლიათ მოამზადოთ ბეგქონდარას, მრავალძარღვას ან გვირილის ნაყენი და გამოივლოთ თბილი.

2. 1 ს/კ დაქუცმაცებულ მუხის ქერქს დაასხით 1,5 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, 15-20 წუთი გააჩერეთ წყლის ორთქლზე; გააგრილეთ და გამოივლეთ.

3. ყინულის ნატეხი გაახვიეთ ქსოვილში და დაიდეთ ლოყაზე რამდენიმე წუთით. სიცივე ავიწროებს სისხლძარღვებს და ტკივილი ყუჩდება.

4. არ შეიძლება მტკივნეულ კბილზე სპირტიან ხსნარში ან ეთილის სპირტში დასველებული ბამბის ტამპონის დადება – ეს გამოიწვევს ღრძილების დამწვრობას.

* * *

კენჭებისგან ჭარხალი დაგიცავთ, სიბრმავისგან – ვიტამინები, კბილის ტკივილს კი, სალბი დაგიამებთ. კუჭ-ნაწლავის ტრაქტში კენჭების დაგროვებისგან დაგიცავთ ჭარხლის სიროფის ხანგრძლივი მიღება. ეს არა მხოლოდ პროფილაქტიკური საშუალებაა, არამედ გარკვეულწილად მას შეუძლია, უკვე დაგროვილი ქვების დაშლა და ორგანიზმიდან გამოდევნა.

სიროფი ასე მზადდება: გათალეთ რამდენიმე წითელი ფერის ჭარხალი, კარგად გარეცხეთ და მოხარშეთ. ხარშეთ მანამდე, სანამ ერთგვაროვან მასად არ იქცევა. შემდეგ გაწურეთ და სვით დღეში ორი ჭიქა, ჭამის წინ ან ჭამის შემდეგ.

სიბრმავისგან ვიტამინები დაგიცავთ ცე და ე ვიტამინების შემადგენლობის პრეპარატების რეგულარულად მიღება, თვალის დაავადების რისკს საგრძნობლად ამცირებს. გარდა ამისა, კვებით რაციონში ყოველდღიურად აუცილებლად ჩართეთ სტაფილო, კომბოსტო, სატაცური, ისპანახი, საქონლის ღვიძლი, თევზეული. ასევე, მნიშვნელოვანია სრულფასოვანი ღამის ძილი.

თუ კბილი აგტკივდათ, მაგრამ კბილის ექიმთან წასვლას ვერ ახერხებთ, აიღეთ სალბი, ხარშეთ დაახლოებით, ხუთი წუთის განმავლობაში, შემდეგ ჩაიგუბეთ პირში ნახარში, ისეთი ცხელი, რასაც გაუძლებთ და მანამდე გაიჩერეთ, სანამ არ გაცივდება. პროცედურა იმდენჯერ გაიმეორეთ, სანამ კბილის ტკივილი არ გაგივლით. შედეგს კი დაახლოებით 10-15 წუთში იგრძნობთ.

* * *

აქტიურ ცხოვრებაში რომ არ შეგიშალოთ რამემ ხელი და თქვენმა ორგანიზმმაც შეუფერხებლად იმუშაოს, ის დროდადრო უნდა გაათავისუფლოთ წლობით დაგროვილი მავნე ნივთიერებებისგან. ამ საქმეში კი მცენარეული ნაყენები დაგეხმარებათ.

სისხლძარღვების კედლებს ასუფთავებს და ამაგრებს ჟოლოს ფოთლები, წითელი სამყურა, ბაბუაწვერას ძირები, მოცხარის ფოთლები, ოროვანდი, პიტნა, ვერხვის ფესვები, ნიახური, ბარისპირა, ნიორი და სხვა მცენარეები.

თანაბარი რაოდენობით აურიეთ ერთმანეთში არყის ხის, ჟოლოს, ბაბუაწვერასა და მოცხარის ფოთლები, დაამატეთ ცოტა შვიტა და ბარისპირა. 1 სადილის კოვზ ნარევს დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, დადგით წყლის ორთქლზე დაახლოებით ნახევარი საათით. შემდეგ გადმოდგით და ერთი საათი თავდახურულ ჭურჭელში გააჩერეთ. სვით მეოთხედი ჭიქა, დღეში 3-ჯერ, ჭამის შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში.

– 2 სადილის კოვზ ბაბუაწვერას დაქუცმაცებულ ფესვს დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და გააჩერეთ დაახლოებით ერთი საათით. დალიეთ 1 სადილის კოვზი, დღეში 4-ჯერ, ჭამამდე.

სისხლი უზრუნველყოფს ორგანიზმის თითოეულ ორგანოს იმ ენერგიით, რომელზეც ჩვენი ჯანმრთელობაა დამოკიდებული. ტოქსინებისგან სისხლის გაწმენდაც ამიტომ არის აუცილებელი, რაშიც თავშავა, მარწყვის ფოთლები, ჭინჭარი, ოროვანდი, აბზინდა, შვიტა, კრაზანა, მრავალძარღვა, ფარსმანდუკი და კულმუხო დაგეხმარებათ.

– 1 ჩაის კოვზ ჭინჭრის გამხმარ ფოთლებს დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, ერთი საათით გააჩერეთ თავდახურულ ჭურჭელში და შემდეგ გაფილტრეთ. მიიღეთ მესამედი ჩაის ჭიქა, დღეში 3-ჯერ, ორი კვირის განმავლობაში.

ძლიერი იმუნური სისტემა რომ გქონდეთ და ინფექციური დაავადებებისგან დაიცვათ თავი, აიღეთ 50 გრამი გამხმარი კულმუხოს ფესვი და დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, ადუღეთ დაახლოებით 15 წუთს. შემდეგ გადაწურეთ, დაამატეთ ნახევარი ჩაის ჭიქა ხილის ნატურალური წვენი და 50 გრამი თაფლი ან შაქარი. მიიღეთ მესამედი ჩაის ჭიქა, ჭამის შემდეგ.

– გახეხეთ 500 გრამი ნიორი და აურიეთ 10 ცალ ლიმონის გამოწურულ წვენში. ყოველდღიურად მიიღეთ მესამედ ჩაის ჭიქა გადადუღებულ წყალში გახსნილი ერთი ჩაის კოვზი ნარევი. ასე გაიუმჯობესებთ თქვენი ორგანიზმის საერთო მდგომარეობას და ინფექციური დაავადებებისგანაც დაიცავთ თავს.

## როგორ ვებრძოლოთ სტომატიტს?



სტომატიტი საკმაოდ გავრცელებული დაავადებაა, მასთან საბრძოლველად უებარი საშუალებაა გვირილის ნაყენი. ამ ნაყენის დასამზადებლად საჭიროა 1 სუფრის კოვზი გვირილას გამხმარი ყვავაილები. ყვავილებს უნდა დავასხვათ ერთ ჭიქა ადუღებული წყალი და გავაჩეროთ 20 წუთი, ამის შემდეგ გადავწუროთ და გავაგრილოთ. ეს ნაყენი უნდა გამოვივლოთ პირის ღრუში დღეში ოთხჯერ. გამოვლების დროს სითხე პირში უნდა ჩავიგუბოთ და გავაჩეროთ 10 წამი.

# როგორ გამოვიყენოთ ცაცხვის ყვავილი

ხალხურ მედიცინაში ცაცხვის ყვავილს განსაკუთრებული როლი ენიჭება. მას მრავალმხრივი დანიშნულება აქვს, განსაკუთრებით კი მას გახდომისთვის, შარდის ბუშტის ანთებისთვის (ცისტიტი), ოფლის მოდენისთვის იყენებენ. განსაკუთრებით კარგია ცაცხვის ყვავილი გახდომის მსურველთათვის.

ცაცხვის ყვავილის ნაყენი გახდომის მსურველთათვის:

– თერმოსში ჩაასხით 0,5 ლიტრი ადუღებული წყალი და 5 სუფრის კოვზი ცაცხვის გამხმარი ყვავილი. ეს ნაყენი მთელი ღამე უნდა გავაჩეროთ. ეს ნაყენი უნდა მივირთვათ დღეში ორჯერ ერთი ჩაის ჭიქის ოდენობით. აუცილებელი პირობაა, რომ ნაყენი ჭამამდე 20 წუთით ადრე დავლიოთ. პროცესი უნდა გაგრძელდეს ერთი თვის განმავლობაში.



– ცაცხვის ყვავილი უებარია გაციების დროს, ყელში გამოსავლებად.

გაციების შემთხვევეში უნდა ავიღოთ ნახევარი ჩაის კოვზი ცაცხვის გამხმარი ყვავილი, დავასხათ ერთი ჩაის ჭიქა ადუღებული წყალი. ეს ნაყენი უნდა დალიოთ ძილის წინ, როგორც სიცხის დამწევი და ოფლმდენი.

– ცისტიტის დროს უებარი შემდეგი რეცეპტი: ერთი ჩაის ჭიქა ცაცხვის გამხმარი ყვავილი უნდა ჩავყაროთ ერთ ჩაის ჭიქა ადუღებულ წყალში და გავაჩეროთ ხუთი წუთის განმავლობაში თბილ ადგილას, გადავწუროთ და დავლიოთ დღეში სამჯერ 100-100 მლ.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ვაკო გვილია მოედნის გარეთ

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი ვალერიან გვილია შესანიშნავად ირჯება ბელარუსიის ჩემპიონატში. ჩვენებური ბატეში თამაშობს და ამ უქმეებზე კიდევ ერთხელ მოახერხა გოლის გატანა – გვილიამ ამჯერად ბელშინა დაამწუხრა.

ბელორუსული კლუბის ვებგვერდზე გვილიასთან საინტერესო ინტერვიუ გამოქვეყნდა. როგორც ირკვევა, ბავშვობაში ექიმობაზე მეოცნებე გვილიას ჰობი კითხვა ყოფილა, თუმცა, მივყვეთ ინტერვიუს...

***– ბავშვობის და ახლანდელი საყვარელი საფეხბურთო კლუბი.***

– იუვენტუსი.

***– საყვარელი ფეხბურთელი?***

– რონალდინიო და დელ პიერო.

***– ფეხბურთის გარდა, სპორტის რომელი სახეობა გიყვართ?***

– კალათბურთი და ჩოგბურთი.

***– სხვა სახეობაში საყვარელი სპორტსმენი?***

– მაიკლ ჯორდანი და როჯერ ფედერერი.

***– ყველაზე საინტერესო მატჩი, რომელიც ოდესმე გინახავთ.***

– 2004-05 წლების სეზონის ჩემპიონთა ლიგის ფინალი ლივერპული-მილანი, რომლის ძირითადი დრო 3:3 დასრულდა.

***– ყველაზე საინტერესო მატჩი, რომელშიც ოდესმე გითამაშიათ.***

– 2017 წლის ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი, რომელშიც საქართველო შვედეთთან 2:3 დამარცხდა.

***– საყვარელი წიგნი?***

– „მარტინ იდენი“, „ალქიმიკოსი“, „მონარქი, რომელმაც გაყიდა თავისი ფერარი“.

***– საყვარელი ავტორი?***

– ჯეკ ლონდონი.

***– საყვარელი მომღერალი?***

– ბასტა, ანუ ვასილ ვაკულენკო და ოქსიმირონი, იგივე მირონ ფიოდოროვი.

***– საყვარელი ფილმი?***

– „გლადიატორი“ და „გაქცევა შოუშენკიდან“.

***– საყვარელი მსახიობი?***

– ლეონარდო დი კაპრიო და ანჯელინა ჯოლი.

***– საყვარელი საკვები?***

– ხაჭაპური, რომელსაც დედა ამზადებს.

***– საუკეთესო დღე თქვენს ცხოვრებაში და რატომ?***

– 2014 წლის 25 აგვისტო, როცა უკრაინის პრემიერლიგაში სადებიუტო შეხვედრა ჩავატარე.

***– ბავშვობაში ვინ გსურდათ, რომ გამხდარიყავით?***

– ფეხბურთელი ან ექიმი. მამაჩემი ექიმია.

***– საყვარელი ავტომობილის ბრენდი.***

– „ლამბორჯინი.

***– რა არ იცით, მაგრამ გინდათ, ისწავლოთ?***

– გიტარაზე დაკვრა და ჭადრაკის თამაში.

***– სამშობლოს გარდა, რომელი ქვეყანა გიყვართ?***

– უკრაინა.

***– ქვეყანა და ქალაქი, სადაც არ ყოფილხართ, მაგრამ გინდათ, რომ ეწვიოთ.***

– ინგლისი და ლონდონი.

***– ქალაქი, რომელმაც თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.***

– დუბაი.

***– სტადიონი, რომელმაც თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.***

– „არენა ლვოვი“.

***– თქვენი ცხოვრების პრინციპი.***

– იშრომე, გწამდეს, მოითმინე და სულით არასდროს დამარცხდე.

***– საყვარელი ციფრი და ნომერი.***

– 10 და 80.

***– ცრურწმენების და ნიშნების გჯერათ?***

– არა.

***– საკუთარის გარდა, რომელ ნაკრებს გულშემატკივრობთ და როდიდან?***

– ბავშვობიდან იტალიის ნაკრების გულშემატკივარი ვარ.

***– ჰობი?***

– წიგნების კითხვა.

***– რა არის თქვენი მთავარი არასაფეხბურთო ღირსება?***



– უბრალოება და გულწრფელობა.

***– თქვენი მთავარი არასაფეხბურთო ნაკლი?***

– ზოგჯერ მეტისმეტად გულუბრყვილო და მიმნდობი ვარ.

***– ყველაზე მეტად ადამიანებში რა თვისებებს აფასებთ?***

– ვაფასებ გულწრფელობასა და უბრალოებას.

***– ყველაზე მეტად ადამიანებში რა თვისებები არ გიყვართ?***

– ქედმაღლები და მატყუარები არ მიყვარს.

***– საფეხბურთო ოცნება?***

– ვითამაშო იუვენტუსში და მოვიგო ჩემპიონთა ლიგა.

***– თანამედროვე ფეხბურთი – ეს არის ბიზნესი, სპორტი თუ სპექტაკლი?***

– ეს უფრო მეტია, ვიდრე ცხოვრება!

# შენგელია და დიქსონი მწყობრში არიან




პოლონეთიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოს ეროვნული ნაკრები აგრძელებს მზადებას ევრო-2017-ს შესარჩევი მატჩებისთვის. 31 აგვისტოს ჩვენები შინ ალბანელებს დაუხვდებიან.

ილიას ზუროსის გუნდმა პოლონეთში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის ბოლო მოსამზადებელი მატჩები გამართა და შვედეთ-პოლონეთთან დამარცხდა. შესაბამისად, საქართველომ მოსამზადებელი მატჩები თანაბარი ბალანსით დაასრულა – 4 მოიგო და 4 წააგო.

ზუროსმა ნაკრების წევრები ჯერ „სნეპ-ფიტნესში“, ტრენაჟორებზე ავარჯიშა, შემდეგ კი გუნდი სპორტის სასახლეში გაემართა და თითქმის 2 საათი ბურთს დაუთმო.

პირველ რიგში ტრავმირებულებზე ვთქვათ: თორნიკე შენგელიამ გუნდთან ერთად ტრენაჟორებზე სრული დატვირთვით ივარჯიშა, თუმცა ბურთით ნაკლებად დაიტვირთა. შენგელიამ სროლებში და რამდენიმე კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა, თუმცა ორმხრივი თამაშისას ის მოედანზე არ იმყოფებოდა. თოკოს არაფერი აღარ აწუხებს, უბრალოდ, მწვრთნელები მის დატვირთვას ერიდებიან.

შვედეთთან მატჩში ტრავმირებული მაიკლ დიქსონი მომჯობინდა. დიაგნოსტიკამ მის მუხლში უარყოფითი ვერაფერი აჩვენა. ამერიკელ უკანახაზელს დაჭიმულობა აქვს და სირბილისთვის თავს არ იმეტებს. მან ექიმის მეთვალყურეობით, მსუბუქად ივარჯიშა. თემურ ხვედელიძემ მას სპეციალური ვარჯიშები გააკეთებინა, რის შემდეგაც დიქსონმა მიზანიც მოსინჯა და სროლები შეასრულა.

სხვა მხრივ, ნაკრებში ყველაფერი წესრიგშია. კალათბურთელები მონდომებით ვარჯიშობენ და ალბანეთთან პირველი მატჩისთვის ემზადებიან. შენგელიას და დიქსონის სტატუსი საალბანეთოდ ჯერ დაუზუსტებელია, თუმცა დიდი ალბათობით ორივე შეზღუდული დროით გავა მოედანზე.

# მოჭადრაკეთა ნაკრებები ოლიმპიადისთვის მზად არიან




1-14 სექტემბერს აზერბაიჯანის დედაქალაქში დაგეგმილ მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადზე, ცხადია, საქართველოს ქალთა და ვაჟთა ნაკრებებიც მიიღებენ მონაწილეობას.

ორივე გუნდმა უკვე გაიარა ნაყოფიერი შეკრება და აზერბაიჯანის დედაქალაქში გაემგზავრა.

მსოფლიოს ჩემპიონის ქალთა ნაკრების შემადგენლობა ასეთია: ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ბაციაშვილი, ბელა ხოტენაშვილი, სალომე მელია; გუნდის მთავარი მწვრთნელი ელიზბარ უბილავა; კაპიტანი – დავით ჯოჯუა.

ვაჟთა ნაკრების შემადგენლობა კი ასე გამოიყურება: ბაადურ ჯობავა, ლევან ფანცულაია, მიხეილ მჭედლიშვილი, თამაზ გელაშვილი, თორნიკე სანიკიძე; გუნდის მთავარი მწვრთნელი და კაპიტანი ზურაბ სტურუა.

ქალთა ნაკრები დამოუკიდებელი საქართველოს სახელით 4-ჯერ (1992;1994;1996;2008) იყო საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული და 3-ჯერ (1998;2000;2010) პრიზიორი.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# შედეგები

**28 აგვისტო**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო ........... 0:0
სიტი-ვესტ ჰემი ........... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 3 | 3 | 0 | 0 | 9-3 | 9 |
| 2.ჩელსი | 3 | 3 | 0 | 0 | 7-2 | 9 |
| 3.მანჩესტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-1 | 9 |
| 4.ევერტონი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| 5.ჰალი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| 6.მიდლსბრო | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 7.ტოტენჰემი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 8.არსენალი | 3 | 1 | 1 | 1 | 6-5 | 4 |
| 9.ლესტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 10.ვესტ ბრომვიჩი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 11.ლივერპული | 3 | 1 | 1 | 1 | 5-6 | 4 |
| 12.ვესტ ჰემი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 13.ბარნლი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 14.სუონსი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 15.საუთჰემპტონი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-4 | 2 |
| 16.სანდერლენდი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |
| 17.კრ.პალასი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-3 | 1 |
| 18.უოტფორდი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-6 | 1 |
| 19.ბორნმუთი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |
| 20.სტოკი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-6 | 1 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ალავესი-ხიხონი ........... 0:0
ლას პალმასი-გრანადა ........... 5:1
ბილბაო-ბარსელონა ........... 0:1
ვილიარეალი-სევილია ........... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლას პალმასი | 2 | 2 | 0 | 0 | 9-3 | 6 |
| 2.ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 7-2 | 6 |
| 3.რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 4.სევილია | 2 | 1 | 1 | 0 | 6-4 | 4 |
| 5.დეპორტივო | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 6.ხიხონი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 7.ლეგანესი | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 8.ეიბარი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 9.სოსიედადი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 10.მალაგა | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 11.ალავესი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 12.ატლეტიკო | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 13.ვილიარეალი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 14.ესპანიოლი | 2 | 0 | 1 | 1 | 6-8 | 1 |
| 15.ოსასუნა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 16.გრანადა | 2 | 0 | 1 | 1 | 2-6 | 1 |
| 17.ბეტისი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-6 | 1 |
| 18.ბილბაო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 19.სელტა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 20.ვალენსია | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლევანტე-ალკორკონი ........... 2:0
მურსია-კორდობა ........... 1:1
უესკა-ხიმნასტიკი ........... 1:1
რაიო-ვალიადოლიდი ........... 0:0
კადისი-მალიორკა ........... 1:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ჰერტა-ფრაიბურგი ........... 2:1
ჰოფენჰაიმი-ლაიპციგი ........... 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 1 | 1 | 0 | 0 | 6-0 | 3 |
| 2.კიოლნი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 3.ვოლფსბურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 4.დორტმუნდი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 5.გლადბახი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 6.ჰერტა | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 7.აინტრახტი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| 9.ლაიპციგი | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| 10.ჰამბურგი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 11.ინგოლშტადტი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 12.ლევერკუზენი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 13.ფრაიბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 14.მაინცი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 15.შალკე | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 16.აუგსბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| 17.დარმშტადტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| 18.ვერდერი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-6 | 0 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბრაუნშვაიგი-ნიურნბერგი ........... 6:1
არმინია-უნიონი ........... 4:4
დინამო-.ზპაული ........... 1:0

**იტალია. სერია ა**

ინტერი-პალერმო ........... 1:1
კროტონე-ჯენოა ........... 1:3
სამპდორია-ატალანტა ........... 2:1
უდინეზე-ემპოლი ........... 2:0
კალიარი-რომა ........... 2:2
ფიორენტინა-კიევო ........... 1:0
სასუოლო-პესკარა ........... 2:1
ტორინო-ბოლონია ........... 5:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჯენოა | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| 2.იუვენტუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| 3.სამპდორია | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| 4.სასუოლო | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| 5.რომა | 2 | 1 | 1 | 0 | 6-2 | 4 |
| 6.ნაპოლი | 2 | 1 | 1 | 0 | 6-4 | 4 |
| 7.ტორინო | 2 | 1 | 0 | 1 | 7-4 | 3 |
| 8.კიევო | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 9.ლაციო | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 10.ფიორენტინა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 11.მილანი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-6 | 3 |
| 12.უდინეზე | 2 | 1 | 0 | 1 | 2-4 | 3 |
| 13.ბოლონია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-5 | 3 |
| 14.პესკარა | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 15.პალერმო | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 16.კალიარი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-5 | 1 |
| 17.ინტერი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 18.ატალანტა | 2 | 0 | 0 | 2 | 4-6 | 0 |
| 19.კროტონე | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 20.ემპოლი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

ნოვარა-ტრაპანი ........... 2:2

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ბორდო-ნანტი ........... 1:0
სტ.ეტიენი-ტულუზა ........... 0:0
მონაკო-პსჟ ........... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.გენგამი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| 2.მონაკო | 3 | 2 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| 3.ნიცა | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 7 |
| 4.ლიონი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-4 | 6 |
| 5.პსჟ | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| 6.კაენი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| 7.მეცი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-5 | 6 |
| 8.ბორდო | 3 | 2 | 0 | 1 | 5-6 | 6 |
| 9.ტულუზა | 3 | 1 | 2 | 0 | 4-1 | 5 |
| 10.სტ.ეტიენი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| 11.მარსელი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| 12.რენი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| 13.ლილი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 14.მონპელიე | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 15.დიჟონი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-4 | 3 |
| 16.ბასტია | 3 | 1 | 0 | 2 | 3-3 | 3 |
| 17.ნანტი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-2 | 3 |
| 18.ანჟე | 3 | 0 | 0 | 3 | 0-4 | 0 |
| 19.ლორიანი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-8 | 0 |
| 20.ნანსი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-7 | 0 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

პსვ-გრონინგენი ........... 0:0
დენ ჰააგი-ერაკლესი ........... 1:1
იგლზი-აიაქსი ........... 0:3
ალკმაარი-ნაიმეგენი ........... 2:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბოავიშტა-შავიში ........... 2:2
მორეირენსე-მარიტიმუ ........... 0:1
სპორტინგი-პორტუ ........... 2:1
რიუ ავე-ფეირენსე ........... 1:0
სეტუბალი-აროუკა ........... 2:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ურალი-არსენალი ........... 1:1
კრასნოდარი-ლოკომოტივი ........... 1:2
ტერეკი-როსტოვი ........... 2:1
ანჟი-სპარტაკი ........... 0:2

*სპარტაკის პირველი გოლი ჯანო ანანიძემ გაიტანა*

**შვეიცარია. სუპერლიგა**

გრასჰოპერსი-იანგ ბოიზი ........... 4:1
სტ.გალენი-ლუცერნი ........... 3:0
თუნი-ბაზელი ........... 0:3

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რაპიდი-ზალცბურგი ........... 0:0
რიდი-აუსტრია ........... 1:1

**ბელგია. პირველი დივიზიონი**

ბრიუგე-სტანდარდი ........... 2:2
ანდერლეხტი-გენტი ........... 2:2
გენკი-ვარეგემი ........... 1:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბურსა-ბასაკშეჰირი ........... 0:2
ქარაბუქი-რიზე ........... 3:0
ოსმანლი-გენჩლერი ........... 2:2
ფენერბახჩე-ქაისერი ........... 3:3

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

დუკლა-სპარტა ........... 0:2
პრჟიბრჟამი-ლიბერეცი ........... 0:1
პლზენი-სლავია ........... 3:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეხი-პიასტი ........... 2:0
ლეხია-ნეცეჩა ........... 1:2
რუხი-ლეგია ........... 0:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ოლექსანდრია-ზვეზდა ........... 4:0
კარპატი-ოლიმპიკი ........... 0:2
სტალი-შახტარი ........... 0:1

**დანია. სუპერლიგა**

სონდერიისკე-ესბიერგი ........... 1:1
ოდენსე-ჰორსენსი ........... 0:1
ბრონდბიუ-კოპენჰაგენი ........... 1:1
ოლბორგი-ორხუსი ........... 2:1
ვიბორგი-მიდტიულანდი ........... 0:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიკი-ჰამარბი ........... 0:0
იონჩოპინგი-ელფსბორგი ........... 1:0
ჰაკენი-ესტერსუნდი ........... 3:1
გიოტებორგი-ჰელსინბორგი ........... 2:0
სუნდსვალდი-მალმიო ........... 0:1 (0:0)
იორებრო-ფალკენბერგი ........... 3:2

**ნორვეგია. ტიპელიგა**

სონგდალი-სტაბეკი ........... 1:1
ვიკინგი-ლილესტრიომი ........... 2:2
რუსენბორგი-ტრომსო ........... 3:1
ოდ გრენლანდი-ვალერენგა ........... 1:2

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

მარიჰამნი-ვაასა ........... 0:0
ჰიკი-კუუპიო ........... 1:0

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ობამეიანგმა ლევანდოვსკი გამოიწვია



დორტმუნდის ბორუსიას მთავარმა გოლეადორმა პიერ-ემერიკ ობამეიანგმა მიუნხენის ბაიერნის მთავარ მეგოლეს, რობერტ ლევანდოვსკის ტვიტერით მიმართა. როგორც აღმოჩნდა, აფრიკელმა ფეხბურთელმა თვალი მიადევნა ბაიერნისა და ვერდერის თამაშს, სადაც რობერტმა 3 გოლის გატანა მოახერხა.

შეგახსენებთ, რომ ბუნდესლიგის გასულ სეზონში საუკეთესო ბომბარდირის წოდებისთვის ბრძოლაში სწორედ რობერტ ლევანდოვსკი და პიერ-ემერიკ ობამეიანგი აქტიურობდნენ, თუმცა საბოლოოდ პოლონელმა 30 გოლის გატანა მოახერხა და უკან ჩამოიტოვა მისი ყოფილი თანაგუნდელი.

ბუნდესლიგის 2016-17 წლების სეზონი ბავარიულმა გრანდმა ჩინებულად დაიწყო, მიუნხენელებმა ბრემენელები გამანადგურებელი ანგარიშით 6:0 დაამარცხეს და მთავარი ფავორიტის სტატუსი კიდევ უფრო გაიმყარეს, თუმცა ამ შემთხვევაში მთავარი ეს არ არის, ახლა ყურადღება პოლონელი ფორვარდის ჰეთ-ტრიკზე უნდა გავამახვილოთ, რომელსაც დორტმუნდელთა მეჩვიდმეტე ნომრისგან ძალიან სახალისო და საინტერესო გამოხმაურება მოჰყვა.

დორტმუნდელთა გოლეადორმა ლევანდოვსკის მიმართა, სადაც ბავარიელთა ცხრიანს საჯაროდ ამცნო, რომ ბომბარდირთა დავაში რბოლამ სტარტი აიღო.

ობამეიანგის განცხადება არც ადრესატისთვის დარჩენილა შეუმჩნეველი, რობერტ ლევანდოვსკიმ აფრიკელი ფეხბურთელის განცხადებას უპასუხა, სადაც პოლონელმა საჩემპიონო რბოლის ამჟამინდელი ანგარიში აცნობა დორტმუნდელთა შემტევს: ლევა-ობამეიანგი 3:2.

როგორც ჩანს, აღნიშნული განცხადებები მხოლოდ სახალისო მოწოდებად არ დარჩება, რადგან უკვე პირველივე ტურიდან ჩანს, რომ ეს 2 ფეხბურთელი მართლაც იბრძოლებს საუკეთესო გოლეადორის წოდებისთვის.

შეგახსენებთ, რომ თუ რობერტმა ბუნდესლიგის წლევანდელი სეზონი ჰეთ-ტრიკით გახსნა, ობამეიანგმა ეს დუბლით შეძლო.

# პსჟ იულიან დრაქსლერში 75 მილიონ ევროს იხდის



სატრანსფერო ფანჯარის დახურვამდე რამდენიმე დღე დარჩა, მაგრამ ტრანსფერების განხორციელება ჯერ კიდევ შესაძლებელია. ფრანგული პსჟ ვოლფსბურგის ნახევარმცველ იულიან დრაქსლერის ყიდვას აპირებს, რომელმაც ადრე თქვა, რომ თავისი გუნდიდან წასვლა უნდოდა. პსჟ მზად არის ამ ტრანსფერში უზარმაზარი ფული 75 მილიონი ევრო გადაიხადოს, თუმცა სავარაუდოდ დრაქსლერის ყიდვა ასეთი ძვირი არ დაჯდება.

დრაქსლერის აგენტი უკვე პარიზში იმყოფება და კონტრაქტის დეტალებზე აწარმოებს მოლაპარაკებას პსჟ-სთან. უახლოეს დღეებში პარიზში თვითონ იულიან დრაქსლერსაც ელოდებიან.

# ბიძინა ბარათაშვილი თბილისის დინამოში არ იმუშავებს



რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბიძინა ბარათაშვილი, რომელიც ამჟამად სილკ ტვ-ის გენერალური დირექტორია, თბილისის დინამოში დაიწყებდა მუშაობას. ბარათაშვილი ერთ-ერთ წამყვან პოზიციაზე იქნებოდა დინამოში, ხოლო მის მრჩევლად კი სპორტული კომენტატორი ლევან სალუქვაძე იმუშავებდა.

ეს ინფორმაცია თვითონ ბარათაშვილმა უარყო, რომელმაც თავის ფეისბუქ გვერდზე სტატუსი გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია, რომ ის დინამოში მუშაობას არ იწყებს და გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. ბარათაშვილის თქმით, ის ახალ სამსახურს არ ეძებს.

# ჯერარდი ბენიტესს აქებს და მწვრთნელობა სურს



ლივერპულის ლეგენდას, სტივენ ჯერარდს, საფეხბურთო კარიერის დასრულებამდე ერთი სეზონიღა დარჩა, შემდეგ კი აპირებს სამწვრთნელო რანგში მოსინჯოს საკუთარი თავი. ის თვლის, რომ უკვე საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს ძლიერ მწვრთნელებთან მუშაობის და მათგან ბევრი რამ ისწავლა.

ფეხბურთელი განსაკუთრებით აქებს ბენიტესს, რომლისგანაც ბევრი ისწავლა:

– ბენიტესი ტაქტიკურად ყველაზე ძლიერი იყო. მას შესანიშნავად შეეძლო გუნდი მოსაგებად დაემუხტა. ჩემპიონთა ლიგის მოგება იმ შემადგენლობით, რაც გვყავდა, ნამდვილი სასწაული იყო და ამაში ბენიტესის როლი უდიდესია. ის საოცრად ჭკვიანი მწვრთნელია.

ჩემთვის დიდი პატივი იყო კენი დალგიშთან მუშაობაც. ის, როგორც ჩემი მამის, ასევე ჩემი გმირი იყო. სასიამოვნოდ უცნაური გრძნობაა, როდესაც შენი კერპის დარიგებით გიწევს თამაში. ამ ყველაფრით ძალიან კმაყოფილი ვიყავი.

არანაკლებ ჭკვიანი იყო ბრენდან როჯერსიც. მას გუნდი სწორი მიმართულებით მიჰყავდა. ჰქონდა შანსი გამხდარიყო ინგლისის მწვრთნელიც, თუმცა არ გაუმართლა. ასევე კარგი იყო ფაბიო კაპელოც. მიხარია, რომ ასეთ დიდ მწვრთნელებთან ვიმუშავე.

ჯერარდის ამჟამინდელი კონტრაქტი ლოს ანჯელეს გალაქსისთან სეზონის ბოლოს იწურება. მას იმედი აქვს, რომ ამას გამარჯვებით აღნიშნავს. 36 წლის ნახევარმცველი ცდილობს სამწვრთნელო ლიცენზიის მოპოვებას.

# სერხიო აგუერომ ტრავმა მიიღო



მანჩესტერ სიტის ფორვარდმა სერხიო აგუერომ ვესტ ჰემთან შეხვედრის დროს ტრავმა მიიღო.

აგუერო დაახლოებით ორ კვირას გამოტოვებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის თავის ნაკრებს ვერ დაეხმარება.

არგენტინის ნაკრები ორ შეხვედრას გამართავს ურუგვაისთან და ვენესუელასთან და ეს მატჩები საკმაოდ მნიშვნელოვანია. აგუეროს თამაში თითქმის გამორიცხულია, რაც შეეხება მესის, მან ნაკრებში დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ მასაც მცირე ტრავმა აწუხებს, რის გამოც მესის თამაშიც საეჭვოა.

შეხვედრები 2 და 7 სექტემბერს გაიმართება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

# რეალს ფეხბურთელებსართმევენ



იტალიური გამოცემები აჭრელდა სათაურებით იმის შესახებ, რომ მადრიდის რეალს და ფლორენტინო პერესს ფეხბურთელი „მოპარეს“. საქმე ჟოაო მარიოს ეხება, რომელიც მილანის ინტერმა გაიფორმა.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც მიმდინარე სატრანსფერო ბაზარზე „ძლევამოსილ“ რეალს ფეხბურთელი ცხვირწინ ააცალეს.

მარიოს დამატება მადრიდელებს სურდათ, მაგრამ ფინანსური დეტალების შეუთანხმებლობის გამო, შეთანხმება „გაიწელა“. მომენტით ინტერმა ისარგებლა და პორტუგალიელთან შეთანხმებას მიაღწია, აქედან გამომდინარე, რეალი ხელცარიელი დარჩა.

თუმცა, სატრანსფერო ბაზარი ჯერ არ დახურულა და ესპანურ გამოცემებზე დაყრდნობით, დარჩენილ დროში რეალი 2 ფეხბურთელის ყიდვას გეგმავს.

გავრცელებული ინფორმაციით, პირველი მათგანი მუსა სისოკო იქნება, რომელიც ნიუკასლის ღირსებას იცავს და ზინედინ ზიდანის სიმპათიაა.

მეორე ფეხბურთელის ვინაობა კი ცნობილი არ არის, მაგრამ გავრცელებული ხმებით, შვეიცარიელი რიკარდო როდრიგესი იქნება.

სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე 2 დღე და ღამეა დარჩენილი.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

ჩემთვის უძვირფასეს ორ ადამიანს, ჩემს უსაყვარლეს შვილს

## თამაზ თოდუასა და ჩემს დას ციალა კაჭარავას



ვულოცავ დაბადების დღეს, ორივე მათგანი აგვისტოშია დაბადებული. ციალა 27, თამაზი 31-ში.

ჩემო ციალა! მე მინდა მოგილოცო მოახლოებული დაბადების დღე.

ჩემო საყვარელო შვილო, თამაზ! მთელი სულითა და გულით გილოცავ დაბადების დღეს 31 აგვისტოს. მინდა იმედების გამართლებითა და გამარჯვებით იარო.

თამაზ, შვილო! სულ თვალწინ მიდგას მარტვილის რაიონის სოფელი კურზუ, სადაც 1985 წელს დაამთავრე საშუალო სკოლა და ჩაები ცხოვრების ფერხულში, ღმერთმა სულ მშვიდობით გატაროს. ეს წერილი ამ ლექსით მინდა დავამთავრო:

აგვისტოს თვეა და როცა,
დღეს დაბადების ახლოს ზის –
ჩემს დას ციალას ვულოცავ,
ვულოცავ ჩემს შვილს თამაზის.

# ასტროპროგნოზი
## 30 აგვისტოსთვის



**ვერძი** – სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება თქვენგან დიდ ყურადღებასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს. პარტნიორთან კონფლიქტს მხოლოდ გულწრფელობითა და კეთილგანწყობით მოაგვარებთ. **კურო** – ნუ იქნებით პესიმისტი. ახალი ნაცნობობა საკმაოდ დიდ სარგებლობას მოგიტანთ. შესაძლოა, სერიოზული გადაწყვეტილების მიღება მოგიხდეთ. **ტყუპები** – ეს დღე სირთულეებთან არის დაკავშირებული. მიზნის მისაღწევად დიდი შრომა გჭირდებათ. ჯანმრთელობისთვის სახიფათო პერიოდია. **კირჩხიბი** – თქვენი მომხიბვლელობა ზენიტშია. დღეს შეგიძლიათ, თამამად განახორციელოთ ახალი იდეები. **ლომი** – თქვენი ენერგიულობა და შემოქმედებითი პოტენციალი ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება. **ქალწული** – შემოქმედებითი პოტენციალი საგრძნობლად აგიმაღლდებათ. მაქსიმალურად გამოიყენეთ თქვენი ორგანიზატორული ნიჭი. მოთმინებით აღიჭურვეთ და საქმე ისე აკეთეთ. **სასწორი** – კარგი დღეა სამოგზაუროდ წასასვლელად, ფიზიკური დატვირთვისათვის. ერიდეთ კამათს მეგობრებთან. საღამო ბუნების წიაღში გაატარეთ. **ღრიანკალი** – ახალი ნაცნობობა სასარგებლო იქნება. ეს დღე გამოირჩევა როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური ტენდენციებით. **მშვილდოსანი** – თქვენი სულიერი და შემოქმედებითი პოტენციალი იზრდება. საზრიანობა და მოვლენების საღად აღქმის უნარი ნებისმიერ სიტუაციაში გეხმარებათ. **თხის რქა** – პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვან ცვლილებას ელოდეთ. წარმატებას პასუხისმგებლობით შესრულებული სამუშაო მოგიტანთ. **მერწყული** – კეთილისმყოფელი დღეა ხელოვანთათვის. დღის დევიზია ჰარმონია, სულიერი წონასწორობის შენარჩუნება. მხოლოდ ყველაზე ახლობელ ადამიანებს ეკონტაქტეთ. **თევზები** – ყოველგვარი შეხვედრა, საქმიანიც და პირადულიც, მომდევნო კვირისთვის გადადეთ. კარგი იქნება ფიზიკური ვარჯიში, მოგზაურობა.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ძველებური ქართული ვერცხლის ფული; 2. დაბალი ხარისხის შაქარი; 3. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 4. ქალაქური სიმღერების შემსრულებელი ქართველი მომღერალი ქალი; 5. მონაკოს მთავართა საგვარეულო დინასტია; 7. ფულის ერთეული იაპონიაში; 11. თავისუფალ გლეხთა კატეგორია ძველად საქართველოში; 13. მძლავრი, ინტენსიური გამოსხივების კოსმოსური სხეული; 15. ჟოკეის წკეპლა; 16. შვედური ავტომობილი; 18. უძველესი ებრაული სახელმწიფო; 19. მამათა მონასტერი.

**თარაზულად:** 6. კომპანიის, ორგანიზაციის, პიროვნების ფინანსური მდგომარეობის, ქონების შეფასება; 8. თევზი, რომელსაც ორივე თვალი ერთ მხარეს აქვს; 9. აქროლადი ნივთიერების კონცენტრირებული ხსნარი; 10. შტატი აშშ-ი; 12. ავსტრიელი პოეტი; 14. ქართველთა სათვისტომოს მამული საფრანგეთში; 17. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 20. ძველებური გადასახდელ სახურავიანი სამგზავრო ეტლი; 21. პატარა ბაღი; 22. ღომში ჩახარშული სულგუნით მომზადებული მეგრული კერძი; 23. ფანქრების მწარმოებელი ჩეხური ფირმა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. ინტიმა; 8. მონოკლი; 9. კაპრისი; 10. ურანოსი; 12. მაჩვი; 13. ინოლა; 14. გილბერტი; 19. კანდელი; 21. სამანი; 23. სარკე; 24. დილემა; 25. არაბიკა; 26. კიურიუმი.

**შვეულად:** 1. ვიკუნია; 2. მომენტი; 3. კლინჩი; 4. მოპსი; 5. ინსულინი; 7. მაო; 11. საბვეი; 15. მონსტრი; 16. ლოკალი; 17. ვარია; 18. ასაკი; 20. ლაქია; 22. ნამი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ინდრა; 2. აი; 3. ოსტი; 4. მისის; 5. ტარ; 6. ია; 7. კი; 8. რუპია; 9. კომეტა; 10. სარკე; 11. ტატამი; 12. აგნატები; 13. ოლე; 14. იან; 15. ლუჩუ; 16. ტაო; 17. ტრი; 18. ლუსტრა; 19. ტომ; 20. მირაჟი; 21. რობი; 22. ეპოდი; 23. სე; 24. მაისი; 25. ბაია; 26. კოდაი; 27. ბორი; 28. კემბრიჯი; 29. მოდელი; 30. ბრედ; 31. ბარბი; 32. ტაიჭი; 33. ბი; 34. ბეჯითი.

**სურათებზე:** მარგარიტა ისაბელი; დიეგო მილიტო.

# 400 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდნილი პარაპლანერისტი გადარჩა

რუსეთის ლენინგრადის ოლქში პარაპლანერისტი 400 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა. ეს ინფორმაცია მასმედიის წარმომადგენლებს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა მიაწოდეს.

– კვირა საღამოს პოლიციაში საავადმყოფოდან შემოვიდა ტელეფონოგრამა, სადაც გადაყვანილი იყო 1986 წელს დაბადებული მამაკაცი, რომელიც პარაპლანით ფრენის დროს სოფელ



მოდოლიცში ჩამოვარდა. მას ქალა-ტვინის ტრავმა აღენიშნება და მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, – განაცხადა პოლიციის წარმომადგენელმა.

მისი თქმით, სპორტსმენმა თავი ვერ გაართვა პარაპლანის მართვას და სწორედ ეს გახდა მისი ჩამოვარდნის მიზეზი.

# პოლიციელმა თვითმკვლელი მატარებლის ბორბლებისგან დაიხსნა



ნიუ-ჯერსის ქალაქ სეკოკუსში პოლიციელმა მატარებლის ბორბლებ ქვეშ მოყოლისგან გადაარჩინა მამაკაცი.

შემთხვევა დილის საათებში მოხდა. სატრანსპორტო პოლიციის 41 წლის თანამშრომელმა ვიქტორ ორტიზმა მიიღო შეტყობინება ბაქანზე მყოფი არაადეკვატური მგზავრის თაობაზე. როდესაც მამაკაცი ყვირილით „მე ციხეში არ ჩავჯდები! მე ციხეში არ ჩავჯდები!“ რელსებზე ჩახტა და მისკენ მომავალი მატარებლისკენ წავიდა, პოლიციის ოფიცერიც უკან მიჰყვა.

მგზავრი მატარებლის დანახვაზე მუხლებზე დაეშვა ძახილით: „უბრალოდ სიკვდილი მინდა! უბრალოდ სიკვდილი მინდა!“ ორტიზმა მას მარჯვენა ხელზე ხელბორკილი დაადო და მისი რკინიგზის ხაზიდან გადაყვანა სცადა, მაგრამ მამაკაცმა მას დიდი წინააღმდეგობა გაუწია. ამის მიუხედავად პოლიციელმა მაინც მოახერხა მატარებლის ჩავლამდე წამით ადრე მისი გზიდან გადათრევა.

# სოციალურ ქსელში მსახიობ ჯეკ ბლეკის ორეული კატა გამოჩნდა



მომხმარებელმა რედიტმა, სოციალური ქსელის სხვა მომხმარებლებს ფოტოშოპ-ბრძოლისთვის შესთავაზა იდეა – კატის ფოტოსურათი სახის გაურკვეველი გამომეტყველებით. ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულად იქცა პოსტერი, რომელიც კატის ცნობილ მსახიობ ჯეკ ბლეკთან აშკარა მსგავსებაზე მიანიშნებდა. ავტორის აზრი სხვა ინტერნეტ-მომხმარებლებმაც გაიზიარეს და დაადასტურეს.

მათ ჩათვალეს, რომ კატა ასევე ორგანულად მიესადაგებოდა დოქტორ ბოროტების სახეს ფილმიდან „ოსტინ პაუერსი“, ის კოსმონავტად გარდასახეს და ვიქტორიანულ ეპოქაში გადაიყვანეს. ზოგიერთმა ჩათვალა, რომ კატის გაურკვეველი გამოხედვა იმაზე მიანიშნებს, რომ მას თავს დაატყდა ვიეტნამის ომის მოგონებები.

ჯეკ ბლეკი ამერიკელი მსახიობი და მუსიკოსია. ის 47 წლისაა. ცნობილია ფილმებით „გაცვლითი შვებულება“, „კინგ კონგი“ და ასევე უამრავი კომედიური სურათით.

# თაგვმა ეარ ფრანგეს რეისი ორი დღით შეაფერხა



მალის დედაქალაქ ბამაკოდან პარიზში მიმავალი ავიაკომპანია ეარ ფრანგეს რეისი 48 საათით გადაიდო. ამის მიზეზი გახდა თაგვი, რომელიც პილოტების კაბინაში აღმოჩნდა.

იმ დროისთვის, როდესაც მღრღნელის დაჭერა მოხერხდა, რეისი გადაიდო, ვინაიდან ცხოველის დაჭერას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა და ავიალაინერის ეკიპაჟს დასვენება სჭირდებოდა. უსაფრთხოების წესებიდან გამომდინარე, პილოტებს დროის გარკვეულ ლიმიტზე მეტის მუშაობა არ შეუძლიათ.

გარდა ამისა, ლაინერებს ფრენა ეკრძალებათ, თუ მასში თაგვი იმყოფება, ვინაიდან მღრღნელს შეუძლია დააზიანოს ელექტროგაყვანილობა და სხვა გაყვანილობები.

აღნიშნული რეისის მგზავრები ბამაკოს სასტუმროებში განათავსეს და ისინი ფრენის გადადების გამო კომპენსაციას მიიღებენ. საბოლოოდ თვითმფრინავმა რეისი კვირას ღამით შეასრულა.

# ლოს-ანჯელესის აეროპორტში ზოროსკოსტუმიანი მამაკაცი დააკავეს



ლოს-ანჯელესის აეროპორტში, ცენტრალურ ტერმინალში, რომელიც სროლის თაობაზე შეტყობინების გამო დაიკეტა, პოლიციამ დააკავა მამაკაცი, რომელიც ზოროს კოსტუმში იყო გამოწყობილი და პლასტიკატის ხმლით შეიარაღებული.

სხვათა შორის გამოცხადებული განგაში სიცრუე აღმოჩნდა. სოციალურ ქსელებში განთავსებული თვითმხილველების მტკიცებით, სროლის მსგავსი ხმების გაგონებაზე პანიკაში ჩავარდნილი ადამიანები სასწრაფოდ ტოვებდნენ აეროპორტის ტერმინალს. თუმცა პოლიციის განცხადების თანახმად, სროლას ადგილი არ ჰქონია.

შეგახსენებთ, რომ ზორო გამოგონილი პერსონაჟია, რომელიც მთლიანად შავი ფერის სამოსშია გამოწყობილი და სახეზეც ნიღაბი უკეთია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კულტურა

# გიორგი სუხიტაშვილი გაანაწყენეს



მომღერალი გიორგი სუხიტაშვილი ყოველთვის სიამაყით აღნიშნავს, რომ სოფელ კარალეთიდანაა.

გორში გამართულმა კონცერტმა, რომელიც რიოს ოლიმპიადაზე გამარჯვებულ სპორტსმენებს მიეძღვენათ, გიორგი სუხიტაშვილის გარეშე ჩაიარა. კონცერტზე ორგანიზატორებს არც გორელი ოთო ნემსაძე მიუწვევიათ.

ამ ფაქტმა გიორგი სუხიტაშვილის განაწყენება გამოიწვია:

– გორში ჩვენი ოლიმპიელების საზეიმო დახვედრაზე და კონცერტზე ჩვენ არ დაგვიძახოთ არა ....

– ჩვენ რა კავშირი გვაქვს ან გორთან, ან ოლიმპიადასთან, ან გულშემატკივრობასთან?

ოთო ნემსაძე, ბიჯო, რუსულები იცი?

# ანაკლიაში ლიანა ისაკაძის კონცერტზე დასწრება თავისუფალი იქნება



ინფორმაციამ, რომ ფესტივალ „ღამის სერენადების“ ფარგლებში ანაკლიაში დაგეგმილ კონცერტს მხოლოდ სპეციალური სტუმრები დაესწრებიანო, საზოგადოებაში არაერთგვაროვანი შეფასებები გამოიწვია.

„ღამის სერენადები“ ბათუმში გაიხსნა და 30 აგვისტოს ანაკლიაში გადაინაცვლებს, რომელიც სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ინიციატივით მოეწყობა. გუბერნიის კულტურის საკითხების კურატორის, ლალი ჯანჯღავას ინფორმაციით, კონცერტს რიგითი მსმენელები ვერ დაესწრებოდნენ.

ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის პრესსამსახურმა განმარტა, რომ ლიანა ისაკაძის კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე ანაკლიაში დასწრება თავისუფალი იქნება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# სამგლოვიარო განცხადებები

## ნუნუ (ნინი) ჯავახიშვილს

ხუთი წლის წინ, ოცდაათ აგვისტოს, შვიდ საათზე ტანჯვა-წამებით დაღლილი (თურმე ბუნებასაც სცოდნია განსაკუთრებული სისასტიკით ადამიანის მოკვდინება) ჩამავალ მზეს გაჰყევი თან. დავკარგეთ ყველაფერი – შენი სახება, შენი ხმა, შენი სიყვარული და მზრუნველობა! ვერ გისრულებთ, ნინი, უკანასკნელ სურვილს – ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩვეულებრივად გააგრძელეთ ცხოვრებაო. უშენოდ ცხოვრება კი არა – სიცოცხლეც წარმოუდგენლად გვეჩვენება.

**ეგ რამ გაგიყინა**
**სახე ანგელოზის –**
**ამ უსამართლობას**
**ალბათ, არ ელოდი.**
**მაგ სასაფლაოზე,**
**წევხარ შენ მართალი**
**როგორ ალამაზებ**
**და როგორ ამშვენებ!**

**შენ ან ბრმად გავარდნილ**
**ტყვიას შეეწირე**
**ან როგორც გჩვეოდა**
**სხვას გადაეფარე**
**და ახლა უბიწო**
**ზეცაში ნეტარებ.**

შენი ოჯახი

დისშვილები დოდო და ზურაბ ანთიები, ძმისშვილები: მურმან, თემურ და ქეთინო გოგიები ღრმა მწუხარებით იუწყებინ ღირსეული ქალბატონის

## ნადია მელიტონის ასულ გოგია-შენგელიას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ვაჟა ივერიელის სახელობის საქართველოს ენდოკრინოლოგთა საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ექიმი-ენდოკრილოგი, მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღვაწმოსილი სპეციალისტი, პროფესორი

## ზურაბ სეხნიაშვილი

და თანგრძნობას უცხადებს მისი ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ენდოკრინოლოგიის დეპარტამენტის თამამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ექიმი-ენდოკრილოგი, მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღვაწმოსილი სპეციალისტი, პროფესორი

## ზურაბ სეხნიაშვილი

და თანგრძნობას უცხადებს მისი ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

შვილები დავით, მარინე, თამილა ქობლიანიძეები, რძალი ნანა ადამიშვილი, სიძეები გივი ნინოშვილი, მიხეილ მაისურაძე, შვილიშვილები ქეთევან ქობლიანიძე, იანა ყაზიშვილი, სოსო, ნათია ნინოშვილები, რევაზ, ნინო მაისურაძეები ოჯახებით იუწყებიან

## ბაბულია სერაფიონის ასულ გოცირიძე-ქობლიანიძის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 27, 28, 29 აგვისტოს, სააკაძის ქუჩა №15.

გამოსვენება: 30 აგვისტოს, 14 საათზე, გორის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრიდან.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

## სამშაბათი 30 აგვისტო

07.00 დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. რამ გაანადგურა ჰინდენბურგი" 08.00 ან/ფ "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" 09.00 ზღაპარი. "ვარსკვლავის ტალერები" 10.00, 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 10.10 ტ/სერ. "**წინ წარმატებისკენ**" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" 12.30 მხ/ფ "**ბინი**" 14.00 ტ/სერ. "**ადვოკატები**" 15.00 დოკ/სერ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. პარალელური სამყაროები" 20.00 მოამბემოამბის სტუმარი 21.30 "ინტერვიუ სალომე ასათიანთან ერთად" 22.10 ქართ. ტ/ფ "მედიტაციები" 2 სერ. 22.40 მხ/ფ "**ველური მდინარე**" (მ.სტრიპი) 00.10 მხ/ფ "**ჰელბოი II. ოქროს არმია**"

08.00 დ/ფ "ეფლი" 09.00 დ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებანი" 10.00 "გეოფაქტორი" 10.15 დ/ფ "ალის პირისპირ" 12.00 ტ/სერ "**ევას სამი ვარდი**" 13.00 ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" 14.00 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "ვენჯოუს ფირმის ფეხსაცმელი" 18.00 21.00 "არჩევნები 2016" 20.00 "მოამბე" 22.00, 01.00 ტ/სერ "**ზღვარს მიღმა**" 23.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, რუსულ ენებზე) 00.30 "ნამდვილი დრო"

05.00 სერ. "**დახურული სკოლა**" 06.00, 14.40 სერ. "**ფიცი**" 07.00, 16.00 სერ. "**თანხმობა**" 08.00 ქ.მხ/ფ "**თოჯინები იცინიან**" 10.00 სერ. "**ბამბის ველი**" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.20 ქრონიკა 11.20 სერ. "**ჟუმონგი**" 12.30 სერ. "**სიყვარულის ჟამი**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ელიფი**" 22.00 სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ - 5**" 23.00, 00.00 სერ. "**სპარტაკი**" - 4" 2-3 სერ. 01.00 მხ/ფ "**კარლიტოს გზა**"

06.00 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 06.45 სერ. "**გაბრიელა**"(გ/ჩ) 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**დედოფლის სევდა**" 15.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**ცხოვრების გზები**" 19.45, 20.05 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" 20.50 ლოტო 22.00 არჩევანი 00.00 სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ

8.00 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 9.00, 19.30 სერ. "**მენტალისტი**", 10.00, 18.30 სერ. "**კარგი ცოლი**" 11.00, 1.15 სერ. "**გრეის ანატომია**" 12.00 59 წამი 13.30, 3.15 სერ. "**ძვლები**" 14.30 ცოლები და ქმრები 15.00 მხ/ფ "**ვარსკვლავური ომები**" ნაწ. V 17.30 სერ. "**მსახიობი მამა**" 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.20 არჩევნები 2012 დაიჯესტი 20.30 20.30 21.30 მხ/ფ "**იდალგო**" 0.05 სერ. "**ამერიკული საშინელებათა ისტორია**"

06.10 სპექტაკლი "**ეზოში ავი ძაღლია**" I,II 07.55 საქართველოს სამართლის ისტორია 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 სპექტაკლი "**ეზოში ავი ძაღლია**" III 11.20 დ/ფ "სამი მღვდელმთავარი" 11.40 საეკლესიო აღმშენებლობა "სანაგირეს ტაძარი" 12.10 მხ/ფ "**ჭრიჭინა**" 13.40 დ/ფ "რეზო გაბრიაძის არაჩვეულებრივი გამოფენა" 14.30 საყმაწვილო ენციკლობედია 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართული ანიმაციური ფილმი 15.30 ტელეზღაპარი "**ტუტა და ლუდვიგ** XIV" 16.00 დ/ფ "შვიდკაცა" 17.00 სიმღერის კვალდაკვალ "თელავი" 17.45 სიბრძნისმეტყველებ - "სიბრძნე სოლომონისა" 18.10 ზღვარზე (ნარკომანია)- ბოლერო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მოკ. მხ/ფ "**ღვინის ქურდები**" 20.00 ღია აუდიტორია გიორგი ეკიზაშვილი 20.40 ძილი ნებისა "წუნა და წრუწუნა" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია "კავკასიური მუზეუმის იდეა" 22.00 სიახლენი 22.25 ჩვენი ფონდი "ქართული ეპიგრაფიკის ძეგლები დაღესტანში" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ერთსულოვანი ოჯახი-ჩარკვიანები 23.45 ქვიშანი დარჩებიან "წმინდა ექვთიმე მთაწმინდელი" 00.30 ერთსულოვნების სალონი 01.00 მხ/ფ "**ენი მწვანე სახურავების მამულიდან**" XII ს

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30 "კონტაქტი" 7.30 ან/ფ "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 8.00 სერ. "**ზოგადი თერაპია**" 10.05 სერ. "**ტატიანა**" 11.05 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30 სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" 13.00, 14.05, 1.00 სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 16.05, 17.05, 2.30 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 18.35 სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" 19.05 სერ. "**მოლოდინის სია**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 21.00 სერ. "**ჩემი ერთადერთი ცოდვა**" 21.50 "ღამის კონტაქტი" 22.45 სერ. "**ცხოვრება,რომელიც არ ყოფილა**" 23.30 სერ. "**მიშკა იაპონჩიკი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

30 აგვისტოსთვის

აშშ დოლარი — 2.2856

ევრო — 2.5802

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0147

100 რუსული რუბლი — 3.5265

## ამინდის პროგნოზი 30 აგვისტოსთვის





## 30 აგვისტოდან




ერნესტ ჰემინგუეი

განუყრელი დღესასწაული

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



## 2 სექტემბრიდან

ჯონ სტაინბეკი

რუსული დღიური




სადილად ოთხასი გრამი არაყი, დიდი თასი სავსე შავი ხიზილალით, კომბოსტოს წვნიანი, სტეიკი, შემწვარი კარტოფილი, ყველი და ორი ბოთლი ღვინო მოგვართვეს. ას ათ დოლარამდე დაგვიჯდა ხუთ კაცს. იმ დროს საელჩოში დოლარად თორმეტ რუბლს ყიდულობდი. მომსახურებისთვის ორსაათ-ნახევარი დასჭირდათ, რამაც ოდნავ შეგვაშფოთა. მოგვიანებით აღმოვაჩინეთ, რომ შეკვეთის ასე გვიან მოტანა რუსული რესტორნებისთვის დამახასიათებელი ყოფილა და ისიც გავიგეთ, რა არის გაჭიანურების მიზეზი.

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი


## იუმორი



პატარა გოგონა დედას ეკითხება:

— დედიკო, მე სულ შენთან და მამასთან ვიცხოვრებ?

— არა, შვილო, გაიზრდები, გათხოვდები და ქმართან იცხოვრებ.

— ჯერ გაგაჩენენ, მერე გაგათხოვებენ! ვერ გავიგე, ვისთვის გამაჩინეთ, თქვენთვის თუ ქმრისთვის?

•••

ტეხასში მეხანძრეები გამოიძახეს სკოლაში. ერთი მეხანძრე მეორეს ეუბნება:

— მე ზევით ავალ და ბავშვებს გადმოვაგდებ, შენ დაიჭირე.

— კარგი.

მცირე ხნის შემდეგ ზევიდან უყვირის:

— ზანგებს რატომ არ იჭერ?

— მე მეგონა დამწვარს აგდებდი.

•••

ოქროს ქორწილზე ქმარი ცოლს ეკითხება:

— ძვირფასო, ამდენი ხნის ცოლ-ქმარი ვართ და, სიმართლე მითხარი, ნუთუ ერთხელაც არ გიღალატია ჩემთვის?

— სამჯერ, ძვირფასო.

— როდის?

— გახსოვს, ბანკი კრედიტს რომ არ გაძლევდა და მერე თავად ბანკირმა რომ მოგიწერა ხელი და პირადად გადმოგცა?

— კარგი, ძვირფასო. მეორედ?

— მეორედ, როდესაც ცუდად იყავი და არავის სურდა შენთვის ოპერაციის გაკეთება, მერე კი თავად პროფესორმა გაგიკეთა ოპერაცია და გადაგარჩინა.

— მადლობა, ძვირფასო, და მესამედ?

— გახსოვს, არჩევნებში დეპუტატობაზე კენჭს რომ იყრიდი და 49 ხმა გაკლდებოდა?

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

— ძვირფასო, მოდი ვითამაშოთ.

— რა ვითამაშოთ?

— მე ვითომ გოგონა ვარ, შენ კი ტაქსის მძღოლი, რომელმაც მანქანით ადგილზე მიმიყვანე.

— კარგი.

— ბიძია, იცით მგზავრობის საფასურის გადასახდელი ფული არ მაქვს და გამიშვით, თუ შეიძლება?!

— წადი, თავისუფალი ხარ!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

— რაო, რა გითხრა გრაფოლოგმა, შენ ხელწერას რომ სწავლობდა?

— რა და, ბოროტი და აგრესიული ხარო.

— მერე, შენ რა უპასუხე?

— სიფათი მივუნგრიე!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**





მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



## 26 აგვისტოდან

ბორის აკუნინი

გრიგოლ ჩხარტიშვილი

საასაფლაოს ამბები




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი






## 1 სექტემბრიდან

მე და ჩემი წილი მამა

მანანა ამირეჯიბი

ეს წიგნი-აღსარებაა... ავტორი შემაცბუნებელი გულახდილობით მოგვითხრობს თავის თავზე, თავისიანებზე, ნაცნობ-მეგობრებზე, ანუ საბოლოო ჯამში — ცხოვრებაზე.

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი


## ჩინეთში თემატურ პარკს ააშენებენ



ჩინეთის ქალაქ ცზინანში ააშენებენ თემატურ პარკს, რომლის მშენებლობა 9 მილიარდი დოლარი დაჯდება. შესაბამის შეთანხმებას პროექტის ერთობლივ შემუშავებაზე ხელი მოაწერეს დელიან ვანდ გრუპმა და ქალაქის ხელისუფლებამ. ცზინანი პროვინცია შანდუნის დედაქალაქია.

კომპანიისთვის ეს პირველი პარკი იქნება, რომელიც სპორტულ თემატიკასთან იქნება დაკავშირებული. კერძოდ, კომპლექსის ტერიტორიაზე განთავსდება სტადიონი, სავაჭრო ცენტრი, სასტუმრო. პარკმა 20 ათასი სამუშაო ადგილი უნდა შექმნას.

სამუშაოების დაწყება 2017 წლისთვისაა დაგეგმილი, ხოლო პარკის გახსნა 2021 წლისთვის. ვარაუდობენ, რომ პარკს ყოველწლიურად 20 მილიონზე მეტი ტურისტი მოინახულებს.

## პაკო ალკასერი თითქმის ბარსელონას ფეხბურთელია



პაკო ალკასერი ბარსელონაში ჩაფრინდა, სადაც სამედიცინო შემოწმებას გაივლის და თუ ყველაფერი რიგზე იქნება, უახლოეს დღეებში ალკასერი ოფიციალურად ბარსელონას ფეხბურთელი გახდება. ალკასერი სავარაუდოდ სამწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს, ბარსელონა კი ამ ტრანსფერში 30 მილიონ ევროს გადაიხდის.

ალკასერის ბარსელონაში გადასვლა გაიწელა, რადგან ვალენსიას არ სურდა მისი გაშვება, მაგრამ გადამწყვეტი თვითონ ფეხბურთელის პოზიცია აღმოჩნდა, რომელმაც ვალენსიიდან წასვლა გადაწყვიტა.

პაკო ალკასერი 22 წლის არის და ესპანეთში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ თავდამსხმელად ითვლება.

## დანიელე დე როსი რომას კაპიტანი აღარ არის



რომას მიერ პორტოსთან 0:3 წაგებულ შეხვედრაში დანიელე დე როსი მოედნიდან გააძევეს, რის გამოც რომას მთავარმა მწვრთნელმა ლუჩიანო სპალეტიმ მისი დასჯა გადაწყვიტა და კაპიტნის სამკლაური ჩამოართვა.

რომას ახალი კაპიტანი ალესანდრო ფლორენცი იქნება.

დე როსის კომენტარი არ გაუკეთებია, ხოლო სპალეტიმ განაცხადა, რომ ფეხბურთელები თავის შეცდომებზე პასუხს აგებენ, ამიტომ მისი ეს გადაწყვეტილება ლოგიკური იყო.

დე როსი უკვე 33 წლისაა, ამიტომ მისი ასეთი თამაში გასაკვირი არ არის. პორტოსთან წაგება რომას ძალიან ძვირი დაუჯდა, რადგან სპალეტის გუნდი ჩემპიონთა ლიგის გარეშე დარჩა, რაც რომაელებისთვის სერიოზული დარტყმაა სეზონის წინ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## სამშობიაროს შეცდომის გამო კანადელებმა 41 წლის შემდეგ იპოვეს მშობლები



ვინიპეგში შედგა პრესკონფერენცია, რომელზეც გამოცხადდა, რომ ორი კანადელი კრის ტომის წარმომადგენელი 41 წლის მანძილზე უცხო ოჯახებში ცხოვრობდა. ისინი სამშობიაროში 1975 წელს აერიათ.

ღონისძიებაზე დნმ-ს ტესტის შედეგები გამოაცხადეს, რომლებმაც აჩვენა, რომ ლეონ სვენსონი და დევიდ ტეიტ-უმცროსი თავიანთ ბიოლოგიურ მშობლებთან არ იზრდებოდნენ. როდესაც მათ ეს შეიტყვეს, კინაღამ ატირდნენ.

— სიტყვები არ მყოფნის. 41 წელი გავიდა... უბრალოდ დაბნეული, შეცბუნებული და გაბრაზებული ვარ, — განაცხადა ტეიტმა. მოგვიანებით მან აღნიშნა, რომ ის თავის აღმზრდელებს, ყოველთვის საკუთარ მშობლებად აღიქვამს, თუმცა ამიერიდან მას კიდევ ორი მშობელი და ძმა ეყოლება. მისი თქმით, სვენსონებმა და ტეიტებმა გადაწყვიტეს, ერთი დიდი ოჯახივით გააგრძელონ ცხოვრება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. „ფორმულა-1“-ში მოასპარეზე გერმანული ავტომრბოლელი; 2. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 3. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 4. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 5. რბილი, ფერადი ფანქრები ფერწერისათვის; 8. ცეცხლსასროლი იარაღის ბელგიელი კონსტრუქტორი; 9. კომიკური ოპერების სახელწოდება გერმანიასა და ავსტრიაში; 12. როკ-ჯგუფ „როლინგ-სტოუნზის“ ლიდერი; 14. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 16. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი.

**თარაზულად:** 1. მცენარეთა დაცვა მავნებელი მწერებისაგან, შხამქიმიკატების შეხრჩოლებით; 6. აზრის არაპირდაპირი, იგავურად გამოხატვა მხატვრულ ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში; 7. ქარბორბალას სახელწოდება აშშ-ში; 9. ტყეში ბინადარი ეკლიანი ცხოველი; 10. მდინარის ქვიანი ნაპირი; 11. ცნობილი ფრანგი მეტალურგი; 13. პროფესიონალი ცხენოსანი; 15. მოხეტიალე ცირკი; 17. ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 18. ცის უმაღლესი, წარმოსახვითი წერტილი; 19. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 20. მუსლიმანთა რელიგიური სამართალი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

